საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუკის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 4 იანვარი. 2019 წ. №1 (8667) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

სიახლე, სიმშვიდე, მოთმინება!

პატრიარქი: ღმერთმა ინებოს, რომ ყოველი ცუდი წავიდეს ძველ წელთან ერთად!

პრეზიდენტი: დაე, 2019 წელი შერიგების წელი ყოფილიყოს!

პრემიერ-მინისტრი: ჩვენ გვაქვს რესურსი და შესაძლებლობა, ვიყოთ წარმატებული ქვეყანა!

ქართული ნაადრევი სარეკორდოა მსოფლიოში

5

ნოდარ წიგნაძე

კოსმოსი ხელისგულზე



ირლანდიაში თავშესაფარს სულ უფრო მეტი ქართველი ითხოვს

8

ახალი წელი საოკუპაციო გამყოფ ხაზთან

8

რუსეთი საქართველოს საზღვართან ორი კურორტის მშენებლობას აპირებს

6

საავადმყოფოებში პიროტექნიკით დაშავებული 100-მდე ადამიანია მოთავსებული

პი**რ**ოტ**ე**ქ**ნ**ი**კ**ით დაშავებულთა რაოდენობა 100-ს აღწევს. დაშავებულთა შორის ძირითადად ბავშვები არიან, რომელთაც დამწვრობები ხელებისა და სახის არეში აქვთ. კლინიკაში ასევე მოთავსებულია რამდენიმე ისეთი დაშავებული, რომელთაც ამპუტაცია-რეპლანტაციების ოპერაციები ჩაუტარდათ.

11 დაშავებული შეყვანილია ქუთაისის რეფერალურ ჰოსპიტალში. მათ შორის 4 პაციენტის მდგომარეობა მძიმე იყო, რომელთაც თითების ამპუტაცია დასჭირდათ.

ექიმების თქმით, წელს პიროტექნიკით დაშავებულთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდია, რის გამოც მოუწოდებენ მოქალაქეებს, მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების ზომები და მოარიდონ ბავშვები პიროტექნიკას.

4

2018 წელს რა გაკეთდა და როგორ შეიცვალა დედაქალაქი?!

100 წლის გაზეთს კვლავ თქვენი დახმარების იმედი აქვს!

დემ**ო**კ**რ**ატ**ი**ულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ეკა ბესელიამ დიდი ოდენობით ქრთამი ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილისგან აიღო!

ექსპერტმა გია აბაშიძემ ეკა ბესელიას კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გაავრცელა. აბაშიძის ინფორმაციით, ეკა ბესელიამ დიდი ოდენობით ქრთამი ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილისგან აიღო, რათა მისი ბიზნესის პრობლემები მოეგვარებინა და სასამართლოში ლობირება მოეხდინა.

„წლებია, არსებობდა მოარული ხმები, რომ ქალბატონი ბესელია ჯერ კიდევ ლადო ჭანტურიას თავმჯდომარეობის პერიოდიდან გარკვეულწილად აგვარებდა რაღაც საქმეებს უზენაეს სასამართლოში. ამჯერად კი, ამ ახალი მოგვარების დამადასტურებელი ფაქტი არსებობს: „ჩეთემ ჰაუსის“ ამ წყაროს ინფორმაციით, ეკა ბესელიამ კომპრომატების „მასტერ სპორტა“-ს ზაზა ოქუაშვილისგან აიღო ქრთამი „ომეგას“ მრავალმილიონიანი დავის მოსაგვარებლად. თუმცა, ეს დავა ვერ მოგვარდა და ბესელიას მოუწია ქრთამის ნაწილის დაბრუნება. ამ ყველაფრის ჩანაწერი კი, როგორც მითხრეს, ოქუაშვილს გაუკეთებია და ახალი გასროლით ემუქრება „ქოცნებას“, — წერს აბაშიძე.

ეკა ბესელიას არ უნდა, დაიჯეროს, რომ ეს არის ის გზა, რომლითაც, რაღაც ჯგუფს მასთან ომი გადაუწყვეტია!

არ მინდა დავიჯერო, **რომ ეს არის ის გზა, რომლითაც რაღაც ჯგუფმა ჩემთან ომი გადაწყვიტა,** — აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ეკა ბესელია ექსპერტ გია აბაშიძის ბრალდებაზე, რომ მან ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილისგან ქრთამი აიღო.

„ეს ისეთი აბსურდია, ისეთი სიგიჟეა და ისეთი სამარცხვინო რაღაც არის, რაც გია აბაშიძემ დაწერა, საერთოდ შინაარსში ვერ შევალ. მაგრამ რა არის ამ ყველაფრის პოლიტიკური მხარე, ამას ვხედავ. ჯერ ერთი, გია აბაშიძე არ არის უცხო ადამიანი. პარტიის ოფისში ტრიალებს და შიგნით მუშაობს პრესის თუ ექსპერტების ჯგუფთან. მე მისგან მიკვირს, ვინ დაავალა ასეთი რამის დაწერა. რაღაც ბმას ვხედავ იმაში, რომ დაახლოებით 2-3 დღის წინ მითხრეს, რომ რაღაცა ტიპის პროვოკაცია მზადდებოდა. არ ვიცოდი შინაარსი. ახსენეს ეს გვარი (ოქუაშვილი) და გამეცინა ამაზე, იმიტომ, რომ არ ვიცნობ, საერთოდ ამ ადამიანს პირადად და ჩემი კომენტარები ბოლო პერიოდის გახმაურებულ საქმეზე, რომელიც უკავშირდება ამ ოქუაშვილის გამოსვლას, იყო ძალიან კრიტიკული მის მიმართ. გია აბაშიძე არ არის აქტიური, მაგრამ ის მე მყავს ნანახი ჩემს ოფისში. ამიტომ მგონია, მას ეს დავალება მისცეს. ვინ მისცა ეს დავალება, ეს უნდა გავარკვიო. ფორმა ძალიან კომიკურია.

ეკა ბესელია ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. ის ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის მიწვევით ლონდონშია.

გედევან ფოფხაძე იურიდიულ საკითხთა კომიტეტიდან გაიწვიეს

„ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე საგანგებო სხდომაზე პირველი გადაწყვეტილება მიიღეს. ეკა ბესელიას მხარდამჭერი გედევან ფოფხაძე იურიდიულ საკითხთა კომიტეტიდან გაიწვიეს. გედევან ფოფხაძეს კომიტეტიდან ფრაქცია „ქართული ოცნება“ გაიწვევს. გედევან ფოფხაძე არ გამორიცხავს, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ მან ფრაქცია საერთოდ დატოვოს.

„ვერანაირ თანამდებობას ვეღარ დავიკავებ კომიტეტში, ეს არის ფრაქციის გადაწყვეტილება, ამის გაპროტესტებას არ ვაპირებ. საკითხი არის არა იმის თაობაზე, ვინ სად იქნება, არამედ ის, თუ როგორ ჩაატარებს პარლამენტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესს. მე ჩემს პოზიციას დავაფიქსირებ ყველა საკითხზე, მათ შორის კონკრეტულ საკითხზე“, — განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობაში დაპირისპირება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების სიას მოჰყვა, რის გამოც ეკა ბესელიამ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის დანამდებობა დატოვა. თანამდებობა ასევე დატოვა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვანო ზარდიაშვილმა. ბესელია და მისი მხარდამჭერები უმრავლესობიდან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების სიის სრულად შეცვლას და სიის დაკომპლექტებისთვის კანონმდებლობის გადახედვას ითხოვს. ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ ის გუნდიდან წასვლას არ აპირებს და ბრძოლას გააგრძელებს.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაეს სასამართლოში წარსადგენი მოსამართლეთა 10 კანდიდატურა დაასახელა: მარიამ ცისკაძე, ნინო ქადაგიძე, მიხეილ ჩინჩალაძე, პაატა სილაგაძე, დიმიტრი გვრიტიშვილი, მერაბ გაბინაშვილი, ნინო სანდოძე, თამარ ალანია, გიორგი ტყავაძე და გიორგი მიქაუტაძე.

პარლამენტში სიის გადაგზავნის შემდეგ ეკა ბესელიამ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა. მისი თქმით, თანამდებობის დატოვებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის პროცესი შეაჩერა.

ეკა ბესელიას განცხადებას პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გაუგებარი უწოდა. როგორც მან აღნიშნა, რატომ დაუკავშირა ეკა ბესელიამ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეობის თანამდებობიდან გადადგომა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების საკითხს. მისი თქმით, ეკა ბესელიას გადადგომის მიზეზი დიდწილად პარტიის შიდა სამზარეულოა.

ირაკლი კობახიძემ ეკა ბესელიას გუნდურობაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ ეკა ბესელია იმ კავშირზე საუბრობდა, რომელიც არ არსებობს და ეს არ არის გუნდური თამაში. მისივე თქმით, გუნდის ნაწილი იქნება ის, ვინც გუნდის თამაშს თამაშობს.

ირაკლი კობახიძემ შეგნებულად დანიშნა ფრაქციის სხდომა?!

არ მინდა, ვიფიქრო, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ შეგნებულად დანიშნა ფრაქციის სხდომა მაშინ, როცა მე არ ვიყავი საქართველოში, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დეპუტატმა ეკა ბესელიამ „პირველ არხს“ განუცხადა.

ბესელიას თქმით, ის ახლა სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფება, რის შესახებაც პარლამენტის თავმჯდომარე საქმის კურსში იყო.

„არ მინდა, ვიფიქრო, რომ მან შეგნებულად დანიშნა ასეთ დროს სხდომა, როცა არ ვიყავი საქართველოში. ფრაქციას ვაცნობე, რომ თუ საკითხები ეხება ჩემთან დაკავშირებულ მოვლენებს, მსურს, ჩემი თანდასწრებით მოხდეს ამ საკითხების განხილვა, რაც ეთიკური იქნებოდა. არ ვიცი, რატომ დაიგეგმა ასე“, — განაცხადა ბესელიამ.

ამასთან, დეპუტატის თქმით, მისთვის „ქართული ოცნების“ ფრაქციის დღევანდელი სხდომის შინაარსი და მიღებული გადაწყვეტილებები ცნობილი არ არის.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა — წლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა

„სასიხარულოა, რომ ჩვენი ძალისხმევა, ღირსეულად წარმოგვეჩინა საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე, ჩვენი ევროპელი პარტნიორების მხრიდან წლის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად შეფასდა“, — განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ლევან ხარატიშვილმა ფედერიკა მოგერინის მიერ 2018 წლის მთავარ მოვლენებს შორის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დასახელებასთან დაკავშირებით.

„ოქტომბერში პატივი მქონდა, გამეხსნა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, რომელიც მსოფლიოში უძველესია. წლევანდელ ბაზრობაზე საპატიო სტუმარი ევროკავშირის ახლო და მნიშვნელოვანი პარტნიორი საქართველო იყო. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო იმაზე საუბარი, თუ რა გვაერთიანებს ჩვენ, ევროპელებს, ჩვენს კულტურასა და იდენტობას“ — წერს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი ფედერიკა მოგერინი საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის პროექტი ქართული წიგნის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით განხორციელდა. გერმანულენოვანი აუდიტორიის ფოკუსში ქართული პროგრამა კონცეფციით Georgia Made by Characters / ანბანით მოთხრობილი საქართველო იყო წარმოდგენილი, რომელიც ერთი მხრივ, უნიკალურ ქართულ ანბანსა და უნიკალურ დამწერლობას, მეორე მხრივ კი ქართულ ხასიათებსა და პერსონაჟებს ეფუძნებოდა. საპატიო სტუმარი ქვეყნის პროექტი ფრანკფურტში 9-14 ოქტომბერს დატვირთული ლიტერატურული და კულტურული პროგრამით წარდგა. საქართველოს პავილიონში, საქართველოს ეროვნულ და თემატურ სტენდებზე, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის 20-მდე სცენაზე, ათობით ლიტერატურულ და კულტურულ სივრცეში ქართველი ავტორებისა და არტისტების სხვადასხვა შინაარსისა და თემატიკის ასობით ღონისძიება გაიმართა.

ზვიად ქორიძემ და ეკა გიგაურმა შეწყალების კომისია დატოვეს

შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ და რამდენიმე წევრმა კომისია დატოვა. ქორიძის თქმით, განცხადება კომისიიდან გასვლის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციას უკვე ჩააბარა.

მისივე ინფორმაციით, ანალოგიური გადაწყვეტილება უკვე მიიღო ეკა გიგაურმა და კომისიის კიდევ რამდენიმე წევრმა.

ზვიად ქორიძე პატიმართა შეწყალების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ 2014 წელს დაინიშნა

* * *

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შეწყალების საკითხთა კომისიასთან დაკავშირებით მუშაობა უკვე დაიწყო.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ადმინისტრაცია გეგმავს კომისიის ახალი წევრებით დაკომპლექტებას. ეს არის ჩვეულებრივი პროცესი.

„პრეზიდენტის ადმინისტრაცია ადასტურებს, რომ კომისია რამდენიმე წევრმა უკვე დატოვა. პრეზიდენტი მადლობას უხდის კომისიის ყველა წევრს გაწეული სამსახურისთვის“, — განმარტავენ ადმინისტრაციაში.

თბილისში ბუნებრივ აირზე არასაყოფაცხოვრებო ტარიფი იზრდება

„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ინფორმაციით, ტარიფის ზრდა 4 თებერვლიდან იგეგმება და 1 კუბ/მ ბუნებრივი აირის ფასი დღგ-ს ჩათვლით 86 თეთრი იქნება.

„გაცნობებთ, რომ ბოლო წლებში ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებამ სერიოზული პრობლემები წარმოქმნა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ნორმალური საქმიანობისა და ბუნებრივი გაზის შესყიდვის პროცესში, ვინაიდან კომპანია ბუნებრივი გაზის შესყიდვას ახორციელებს აშშ დოლარში, ხოლო მომხმარებლებთან ბუნებრივი გაზის მიწოდებისას ანგარიშსწორებას ახდენს ლარში ფიქსირებული ფასით.

აქედან გამომდინარე, დღეისათვის მოქმედი არასაყოფაცხოვრებო ტარიფი არ იძლევა შესაძლებლობას შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ დაფაროს, როგორც მიმდინარე ხარჯები, ასევე გასული წლების განმავლობაში კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი. იმისათვის, რომ არ შეფერხდეს გაზის შესყიდვისა და დედაქალაქის უწყვეტი გაზმომარაგების პროცესი და თბილისის მოსახლეობამ ისარგებლოს მაქსიმალურად უსაფრთხო გაზმომარაგებით, კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ იძულებულია, მოახდინოს არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ტარიფის კორექტირება“, განმარტებულია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ გადაწყვეტილებით, 2019 წლის 4 თებერვლიდან თბილისში, ბუნებრივი აირის იმ მომხმარებლებისათვის, რომლებიც გაზს მოიხმარენ არასაყოფაცხოვრებო მიზნით, ბუნებრივი გაზის ფასი ერთ კუბურ მეტრზე დღგ-ს ჩათვლით 86 თეთრი იქნება. აღნიშნული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელს. მოსახლეობისთვის გაზის საფასური დარჩება 46,139 თეთრი.

პატრიარქი: ღმერთმა ინებოს, რომ ყოველი ცუდი წავიდეს ძველ წელთან ერთად!

ღმერთმა ინებოს, რომ ყოველი ცუდი წავიდეს ამ ძველ წელთან ერთად. სიახლე, სიმშვიდე, მოთმინება, სიხარული, სიყვარული სუფევდეს საქართველოში და მთელ მსოფლიოში, — ამის შესახებ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის საახალწლო მილოცვაშია ნათქვამი.

— ყველას მოგესალმებით, ღმერთმა დაგლოცოთ. გილოცავთ ახალ წელს. წმინდა მეფე დავით წინასწარმეტყველი ამბობს — „მაუწყე მე, უფალო, გზა“. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ამბობს — „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. ამ გზას უნდა დაადგეს ყოველი ადამიანი. ძალიან ხშირად ადამიანი ეცემა, ცოდვას აკეთებს, მაგრამ ცოდვასთან ერთად დგას სინანული, აღსარება. აღსარება სწმენდს, კურნავს ადამიანს. „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ყოველმა ადამიანმა დიდება შესწიროს უფალს, რომ მშვიდობა დაიმკვიდროს. ადამიანი ეცემა, მაგრამ ღმერთი აძლევს ძალას, მადლს. ისევ დგება და ისევ აგრძელებს თავის ცხოვრების გზას. ღმერთმა ინებოს, რომ ყოველმა ადამიანმა მიაღწიოს სასუფეველს. კიდევ ერთხელ ყველას გილოცავთ ახალ წელს. ღმერთმა ინებოს, რომ ყოველი ცუდი წავიდეს ამ ძველ წელთან ერთად. სიახლე, სიმშვიდე, მოთმინება, სიხარული, სიყვარული სუფევდეს საქართველოში და მთელ მსოფლიოში. კურთხევა უფლისა თქვენზედა, მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“, — განაცხადა პატრიარქმა ერისადმი მიმართვისას.

პრეზიდენტი: დაე, 2019 წელი შერიგების წელი ყოფილიყოს!

ყველას სულითა და გულით გილოცავთ 2019 წლის შემოსვლას, ფეხბედნიერი, ბარაქიანი, ხალისიანი ყოფილიყოს ეს წელი თქვენთვის, — ამის შესახებ პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის საახალწლო მილოცვაშია ნათქვამი.

სალომე ზურაბიშვილმა მოსახლეობას ახალი წელი ორბელიანების სასახლიდან მიულოცა და უსურვა, რომ მშვიდობის, სულიერი დამშვიდების, შემწყნარებლობის, გაერთიანების წელი და გამთლიანების საწინდარი ყოფილიყოს.

„2018 წელს მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში კიდევ ორი ქართული ფენომენი შეიტანეს — ქართული ანბანის სამი სახეობა და ქართული ჭიდაობა. მჯერა, რომ 2019 წელს ჩვენი კულტურის პოპულარიზაცია მსოფლიოში კიდევ უფრო გაძლიერდება. 2018 წელს განათლების სფეროში უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდის წარმატება ვიხილეთ როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მომავალი თაობაც, რომელიც, ვიმედოვნებ, „დედა ენაზე“ გაიზრდება, დარწმუნებული ვარ, ასახელებს ჩვენს ქვეყანას. 2018 წელი ასევე გამორჩეული იყო საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეებისთვის, რადგან მათთვის, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების მიუხედავად, შესაძლებელი გახდა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება და აღდგენა. ეს გააადვილებს და გააძლიერებს ჩვენს ურთიერთკავშირს. დგება ახალი წელი და ყველას სულითა და გულით გილოცავთ 2019 წლის შემოსვლას. ფეხბედნიერი, ბარაქიანი, ხალისიანი ყოფილიყოს ეს წელი თქვენთვის. ვულოცავ ახალ წელს თითოეულ მოქალაქეს თბილისში, საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში. ვულოცავ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს, ვულოცავ მოგზაურებს, ვულოცავ ჯარისკაცებს და პოლიციელებს, რომლებიც ამ ღამესაც ჩვენს მშვიდობასა და წესრიგს იცავენ. ვულოცავ შორეულ მალისა და ავღანეთის მძიმე პირობებში გამწესებულ ჩვენს ჯარისკაცებს. მათ ვეწვევი ახლო მომავალში. ვულოცავ საოკუპაციო ხაზზე, გალსა და ახალგორში მცხოვრებ ჩვენს გმირ ხალხს. ვულოცავ აფხაზ და ოს ძმებს. დაე, 2019 წელი შერიგების წელი ყოფილიყოს. ყველას გისურვებთ, ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობის, სულიერი დამშვიდების, შემწყნარებლობის, გაერთიანების წელი და გამთლიანების საწინდარი. ვულოცავ ახალ წელს სრულიად საქართველოს!“ — ნათქვამია სალომე ზურაბიშვილის საახალწლო მილოცვაში.

პრემიერ-მინისტრი: ჩვენ გვაქვს რესურსი და შესაძლებლობა, ვიყოთ წარმატებული ქვეყანა!

მე მჯერა, რომ ჩვენ გვაქვს ყველა რესურსი და შესაძლებლობა, ვიყოთ წარმატებული ქვეყანა, სადაც თითოეული ოჯახი ღირსეულად იცხოვრებს, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის საახალწლო მილოცვაშია ნათქვამი.

მთავრობის მეთაური მოსახლეობას ახალ წელს ულოცავს და აცხადებს, რომ განათლება იქნება 2019 წელს მთავრობის უპირობო პრიორიტეტი.

„დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ჩვენს აფხაზ და ოს მოქალაქეებს! მჯერა, ერთობლივი ძალისხმევით გადავდგამთ საერთო ნაბიჯებს უკეთესი მომავლისკენ. ჩვენ საერთო მომავალი მხოლოდ თქვენთან ერთად წარმოგვიდგენია.

ამისათვის, ჩვენ გვინდა პროგრესი და წინსვლა, ქვეყანას სჭირდება ახალი იდეები, ახლებური ხედვა, თამამი და სწრაფი გადაწყვეტილებები და ეს ენერგია ჩვენს ახალგაზრდებშია, ისინი არიან ჩვენი ქვეყნის მომავალი.

მინდა, მივულოცო ახალგაზრდებს დამდეგი ახალი წელი და ვუთხრა, რომ განათლება იქნება მომავალ 2019 წელს ჩვენი უპირობო პრიორიტეტი.

განათლებაზე დაფუძნებული პოლიტიკა და ინოვაციები ჩააყენებს საქართველოს განვითარებული და ევროპული ქვეყნების რიგში, იქ, სადაც ჩვენი ბუნებრივი ადგილი, ჩვენი ცივილიზაციური არჩევანია. მე მჯერა, რომ ჩვენ გვაქვს ყველა რესურსი და შესაძლებლობა, ვიყოთ წარმატებული ქვეყანა, სადაც თითოეული ოჯახი ღირსეულად იცხოვრებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. მჯერა, რომ 2019 წელი წარმატებების და წინსვლის წელიწადი იქნება ყველასთვის! გილოცავთ“, — ნათქვამია პრემიერის მილოცვაში.

ვიცხოვროთ ქართული ენის წიაღში

ძვირფასო მკითხველო!

რადგანაც „პირველითგან იყო სიტყუა ჲ და სიტყუა ჲ იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა ჲ იგი“...

რადგანაც 100 წლის ქართული სიტყვიერების ცოცხალი ძეგლი „საქართველოს რესპუბლიკა“ ღმერთივით მაღალი ქართული სიტყვის მსახურია, მას გემოვნებიანი მკითხველის გულის გათბობა და მთელი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლია...

დიახ, თითოეული ქართველის ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლია!..

ეს ხომ თანამედროვე ქართული მასმედიის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს... ამით შეიცვლება ქართველი ხალხის ცნობიერება და დღემდე მიუღწეველი ერთობისკენ გაბედული ნაბიჯი გადაიდგმება.

სწორედ ამიტომ უნდა გამოიწეროს, იყიდოს და იკითხოს „საქართველოს რესპუბლიკა“ (სხვა ქართულ გაზეთებთან ერთად) ყველამ, ვისაც თავანკარა, თვალადური ქართულით მოთხრობილი საკუთარი ქვეყნის წარსული და დღევანდელობა აინტერესებს!..

ვიცხოვროთ ქართული ენის წიაღში და ერთად გადავარჩინოთ, გავაერთიანოთ, ავაღორძინოთ გათითოკაცებული, დაფლეთილი, გაპოლიტიკანებული საქართველო.

ერთი წუთითაც არ დაგვავიწყდეს, რომ სიტყვა არის ღმერთი და სიტყვას ყველაფერი შეუძლია...

მთავარი რედაქტორი



2018 წელს რა გაკეთდა და როგორ შეიცვალა დედაქალაქი?!

რა გაკეთდა და როგორ შეიცვალა თბილისი 2018 წელს.

ზაფხულში გადათხრილი კოსტავას, შარტავას, ფალიაშვილის და სხვა ქუჩები, რომელიც თბილისელებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, დღეს უკვე დასრულებულია. **სულ 2018 წელს გზის სამუშაოები 12 ლოკაციაზე მიმდინარეობდა**. ახლა კახეთის გზატკეცილის მარჯვენა და მარცხენა სათადარიგო ზოლის რეაბილიტაცია ხდება. ასევე, თბილისი-ნაფეტვრების გზის მონაკვეთისა და მარნეულის გზატკეცილის რეაბილიტაცია. აღსანიშნავია სოფელი დიღომი-დიდგორი-თელოვანის საავტომობილო გზის მშენებლობაც.

თბილისის მერიის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ის არის, რომ ქუჩები არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, თუმცა თბილისის მერიის მიერ მომზადებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ შშმ პირებისთვის ქუჩების ადაპტირება უკვე მიმდინარეობს; ქუჩების პარალელურად ასევე ეწყობა ახალი გაჩერებები, გადასასვლელები და ტროტუარები.

მთლიანობაში ინფრასტრუქტურულ პროექტებში 2018 წელს 135 744 331 ლარი დაიხარჯა.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების გარდა დასრულდა მაღლივის საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია, რომელიც წლების განმავლობაში მიტოვებული და ყველასგან დავიწყებული ადგილი იყო. ხიდის რეაბილიტაციისთვის 515 515 ლარი დაიხარჯა, ხოლო ხიდის მოპირკეთების, ახალი განათების სისტემით აღჭურვისა და სხვა კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის ჯამში 200 000 ლარამდე დაიხარჯა. **ამ დროისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოები ვახუშტის, ვარკეთილისა და მდინარე გლდანულაზე გადასასვლელ (სარაჯიშვილი) ხიდებს უტარდებათ.**

თბილისისთვის 2018 წელი გამორჩეული იყო ისტორიული შენობა- ნაგებობების რესტავრირების კუთხით. თბილისის განვითარების ფონდმა ახალი სიცოცხლე ათობით ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს შესძინა.

ამ დროისთვის ორბელიანის მოედანსა და მიმდებარე ქუჩებზე მდებარე 20-მდე შენობის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. შენდება 150 ავტომანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა პარკინგი. პროექტის ბიუჯეტი 70 მლნ ლარია. ასევე მიმდინარეობს გუდიაშვილის მოედნისა და 20-მდე შენობის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა 50 მლნ ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს სამი მუზეუმის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა; დასრულებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, კოტე და სოსო წერეთლების მემორიალური სახლ-მუზეუმების რეაბილიტაცია; დასრულდა ილია ჭავჭავაძის მემორიალურ-ლიტერატურული მუზეუმის სრული რეაბილიტაცია.

„კომერსანტი“ მთელი წლის განმავლობაში გაწვდიდათ ინფორმაციას ახალი სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტების გახსნის შესახებ. **სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით თბილისის მერიამ დაასრულა 1 200-ზე მეტ ბენეფიციარზე გათვლილი „გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის“ მშენებლობა. თბილისის ორ რაიონში — ვარკეთილსა და დიდ დიღომში დაიწყო მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების პროექტების მზადება.**

2018 წელს **აშენდა და გაიხსნა 11 ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, შშმ პირთათვის ადაპტირებული საბავშვო ბაგა-ბაღი. შედეგად 600-მდე ადამიანი დასაქმდა, აღსაზრდელებისთვის დამატებით 2 875 თავისუფალი ადგილი შეიქმნა.** აღსანიშნავია, რომ 38 საბავშვო ბაგა-ბაღში მასშტაბური სარემონტო სამუშაოები ჩატარდა.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან და საჭირო პროექტებს თბილისის 10 რაიონული გამგეობა მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად ახორციელებს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გამგეობების მიერ:

1. საგზაო ინფრასტრუქტურა ჯამში 783 539 კვ.მ ფართობზე მოწესრიგდა, რისთვისაც დაიხარჯა 35 744 331 ლარი;

2. სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია 247 მისამართზე ჩატარდა. ამისთვის 8 742 011 ლარი დაიხარჯა;

3. ახალი სპორტული მოედნების მოწყობისა და ძველი მოედნების რეაბილიტაციისთვის 180 მისამართზე 4 898 332 ლარი დაიხარჯა;

4. საბავშვო გასართობი მოედნების რეაბილიტაცია 52 მისამართზე, ხოლო ფიტნეს ზონების მოწყობა-რეაბილიტაცია 117 მისამართზე განხორციელდა. ამისთვის ჯამში დაიხარჯა 2 446 961 ლარი;

5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 1 256 პროექტი განხორციელდა, რისთვისაც 14 066 645 ლარი დაიხარჯა;

6. გამწვანებისა და მცენარეთა მოვლა-პატრონობის (გათიბვები, ავარიული ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირება, ბუჩქები, ნერგები) სამუშაოები განხორციელდა 4 318 მისამართზე და ამისთვის 1 611 894 ლარი დაიხარჯა;

7. ჩატარდა კულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი 121 ღონისძიება, რისთვისაც 930 929 ლარი გამოიყო;

8. 16 მისამართზე განხორციელდა 224 ავტოფარეხის დემონტაჟი, რისთვისაც 251 233 ლარი დაიხარჯა. ავტოფარეხების ადგილზე სკვერების მოწყობა ხორციელდება;

9. მიწისქვეშა კომუნიკაციები (სანიაღვრე, წყალარინებისა და წყალსადენის ქსელები) მოწესრიგდა 169 მისამართზე, რაშიც 3 401 571 ლარი დაიხარჯა;

10. კეთილმოწყობის სხვადასხვა სამუშაო განხორციელდა 1 064 მისამართზე, რაშიც 4 330 419 ლარი დაიხარჯა;

11. გრუნტის დამჭერი კედლების რეაბილიტაცია-მოწყობა 109 მისამართზე განხორციელდა, რისთვისაც 4 809 760 ლარი გამოიყო;

12. სოციალური პროგრამებით (ოპერაცია, მედიკამენტები, ბინის ქირა და ა.შ.) 169 257 ბენეფიციარმა ისარგებლა, რაშიც 34 655 319 ლარი დაიხარჯა.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც თბილისის მერიამ 2018 წელს განახორციელა დედაქალაქის მოსახელობის კეთილდღეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს 10 ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ავტოსატრანსპორტო საშუალება დაემატა.

2018 წელს შემუშავდა „რადიოქალაქის“ ახალი პროექტი, რომლის განხორციელებისთვის საჭირო საინვესტიციო თანხა 50 მილიონ ლარს შეადგენს. შედეგად, 200 სამუშაო ადგილი შეიქმნება.

2018 წელს თბილისისთვის ოთხი დიდი პარკი მოეწყო:

წურწუმიას ქუჩაზე;
ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე;
გლდანის მეექვსე მიკრორაიონში;
გოძიაშვილის სახელობის პარკი;

დასვენების ადგილების განვითარებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, **დაგეგმილია ორი დიდი საქალაქო პარკის მოწყობა თემქის ხევის ტერიტორიასა და დიღმის ჭალებში.**

კიდევ ერთი საკითხი რომელზეც გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ, თბილისის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკას ეხება. თბილისის პარკინგის სისტემის ადმინისტრირების ფარგლებში გამოიცვალა 9000 პარკინგის ნიშანი, დაიხაზა და კეთილმოეწყო 8000 კვ.მ პარკირების ადგილი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებისთვის უკვე შეძენილია 10-მეტრიანი MAN-ის ფირმის 90 ახალი ავტობუსი. დასრულდა 220 ერთეული -მეტრიანი ავტობუსის შესყიდვის სატენდერო პროცედურა, ხოლო 2019 წლისთვის მზადდება ტენდერი 240 ერთეული ელექტროძრავზე მომუშავე 8 და 10-მეტრიანი ავტობუსების შესყიდვაზე.

„კომერსანტი“ შეეცადა მოკლედ გაეცნო ის მნიშვნელოვანი პროექტები, რომელიც თბილისის მერიამ 2018 წელს განახორციელა. 2019 წელს თბილისის ბიუჯეტი 1 მილიარდ ლარს გადააჭარებებს. რამდენად ეფექტურად დაიხარჯება ეს თანხა და რა ცვლილებები მოხდება დედაქალაქში, ჯერჯერობით უცნობია.

ბაჩო ადამია

დაბოლოს, 2018 წლის დასასრულ არნახულად გალამაზდა დედაქალაქის ქუჩები ორიგინალური სანათებითა და გირლიანდებით. პირველი რესპუბლიკის მოედანზე ბინა დაიდო „საახალწლო ქალაქმა“, გრანდიოზულმა ნაძვის ხემ და რამდენიმე სცენამ, რომლიდანაც თავიანთი ხელოვნებით დაატკბეს დედაქალაქის სტუმრები და თბილისელები პოპულარულმა მომღერლებმა. „სიყვარულით სავსე ქალაქი“ ათასგვარი გასართობებითა და სხვადასხვა ღონისძიებებით ალამაზებდა საახალწლო დღეებს.

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲒᲣᲚᲖᲔ

ᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲗ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲡ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲬᲘᲒᲜᲐᲫᲔ

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲬᲘᲒᲜᲐᲫᲔ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენისა და მედლის კავალერი, მრავალი გამოგონების, სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიის ავტორი, ქართული და უცხოური პატენტების მფლობელია. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა 1980 წლიდან, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში დაიწყო. ნოდარ წიგნაძის სამეცნიერო საქმიანობა უკავშირდება მიწისზედა და კოსმოსურ ტრანსფორმირებად სისტემებს. მათ შორის აღსანიშნავია პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი „რეფლექტორი“ და მრავალჯერადი გამოყენების, მრავალმალიანი, ტრანსპორტირებადი ლითონის ხიდი.

— მთელი თქვენი პროფესიული მოღვაწეობა უკავშირდება საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტს, რომლის ახლანდელი სახელწოდებაა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი. ინსტიტუტში თქვენ განვლეთ გზა რიგითი სპეციალისტიდან ინსტიტუტის დირექტორობამდე და თქვენს სახელთან ასოცირდება ინსტიტუტში განხორციელებული ბევრი წარმატებული პროექტი. ამდენად, ძალიან საგულისყურო, რა იყო ბიძგი იმისთვის, რომ გაგევლოთ ეს დიდი და ხანგრძლივი მარათონი?

— ყველაფერი დაიწყო 1980 წლიდან, როდესაც დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მუშაობა დავიწყე სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიურო „M19“-ში, ინჟინრის პოზიციაზე. ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, საინტერესო და საამაყო იყო მუშაობა ისეთ თემატიკაზე, რომელიც ეხებოდა კოსმოსის ათვისებას. აქედან გამომდინარე, ისე განვლო ამ წლებმა, რომ არც კი მიგრძნია ის დაღლა, რაც მარათონს ახასიათებს. ეს იყო წლები მიზანსწრაფული და შემოქმედებითი საქმიანობისა, რაც, ერთი მხრივ, უკავშირდება მეტად საგულისყურო, მრავალფეროვან და პერსპექტიულ სფეროს — კოსმოსის ათვისებას და, მეორე მხრივ, ამ დარგის დაფუძნებას ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე.

— თქვენი მოღვაწეობა მეტად რთულ პოლიტიკურ და ამასთან სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში წარიმართა, რაც განპირობებული იყო ჯერ საბჭოთა კავშირის რღვევით და შემდეგ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით. ასეთ პირობებში როგორ ტრანსფორმირდებოდა თქვენი საქმეები?

— გეთანხმებით, ის პერიოდი ნამდვილად რთულად გასავლელი გზა გახლდათ არა მარტო ჩემთვის და ჩვენი ინსტიტუტისთვის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის.

საბჭოთა პერიოდში ჩვენ ვასრულებდით საკავშირო მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიხედვით ავაგეთ საგურამოსა და ბორჯომის უნიკალური სასტენდო კომპლექსები, შევქმენით კონსტრუქციები, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში. სამუშაოები შეეხებოდა ბალისტიკური რაკეტების სტარტის აღმოჩენის კოსმოსურ და მიწისზედა სისტემებს. ამასთანავე, მივიღე მონაწილეობა ღია კოსმოსურ სივრცეში განხორციელებულ ისეთ პროექტებში, როგორიცაა „კრაბი“ და „სოფორა“. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდში, ჩვენ სასტენდო კომპლექსებში სრულმასშტაბიანი გამოცდები ჩავუტარეთ გასაშლელ, 30 მეტრი დიამეტრის მქონე, კოსმოსურ რეფლექტორულ ანტენას. ეს მონაცემები დღესაც სარეკორდოა მსოფლიოში.



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲤᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲙᲔᲪᲘᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠ ᲡᲐᲓᲒᲣᲠ ᲛᲘᲠᲖᲔ

მე მიხარია და მეამაყება, რომ ამ წლების მანძილზე ინსტიტუტში შესრულებულ ყველა სამეცნიერო-კვლევით პროექტში ვიყავი ჩართული და მაქვს ჩემი პირადი წვლილი შეტანილი ყველა წარმატებაში.

— ასეთი წარმატებების ფონზე როგორი იყო თქვენი კარიერული წინსვლა?

— როგორც აღვნიშნე, დავიწყე რიგითი ინჟინრის თანამდებობით. სხვადასხვა დროს ვიყავი მიწისზედა სპეციალური ნაგებობების განყოფილების უფროსის მოადგილე, ბორჯომის მთიან ზონაში განთავსებული სპეციალური სისტემების ექსპერიმენტული კვლევების პოლიგონის უფროსი, კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში დაარსებული სამხედრო საინჟინრო აკადემიის უფროსი და, ბოლოს, ახლა ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორი. ამავე დროს ადმინისტრაციულ საქმიანობას ყოველთვის ვუთავსებდი სამეცნიერო საქმიანობასაც. მიხარია, რომ ამ მხრივაც მაქვს გარკვეული წარმატებები: საბჭოთა კავშირის დროს ჩვენი სამუშაოები იყო გასაიდუმლოებული და ის არ იყო ხელმისაწვდომი მეცნიერთა ფართო წრეებისთვის, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში გამოქვეყნებული შრომების მიხედვით მაქვს მაღალი ციტირების ინდექსი. მაქვს 72 სამეცნიერო სტატია, რომლებიც გამოქვეყნებულია მსოფლიოში აღიარებულ სხვადასხვა გამოცემებში, 5 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელო, ვარ 15 ადგილობრივი და საერთაშორისო პატენტის ავტორი.

— ძალიან საინტერესოა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ როგორ წარიმართა ინსტიტუტის და პირადად თქვენი საქმიანობა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში?

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოგვეცა საშუალება, კავშირი დაგვემყარებინა ევროპულ და ამერიკულ კომპანიებთან და, რაც მთავარია, ევროპულ კოსმოსურ სააგენტოსთან. ამ მხრივ აღსანიშნავია განხორციელებული პროექტები შემდეგ კომპანიებთან: „დაიმლერ ბენც აეროსპეისი“ (გერმანია), „ალენია სპაციო“ (იტალია), „ენერგია“ (რუსეთი), „ლოქჰიდ მარტინი“ (აშშ), „მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი“ (გერმანია) და სხვა.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში კი ინსტიტუტის დიდი წარმატება იყო 1999 წელს ღია კოსმოსურ სივრცეში განხორციელებული ექსპერიმენტი — პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის „რეფლექტორის“ წარმატებული გაშლა კოსმოსურ სადგურ მირზე. ამ პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის პრეზიდენტის ბრძანებულებით დაჯილდოებული ვარ ღირსების მედლით და ღირსების ორდენით.

— რა საავტორო კვლევები შეგიძლიათ დაგვისახელოთ, რომელიც ბოლო პერიოდში თქვენი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით ჩატარდა?

— ამ მხრივ მე გამოვყოფდი სწრაფად ასაგები ტრანსფორმირებადი, ექსტრემალურ სიტუაციებში გამოსაყენებელი ხიდების შექმნას. ჩემი სადისერტაციო თემაც სწრაფად ასაგებ, ასაწყობ-დასაშლელ, მრავალმალიან ლითონის ხიდს ეხება, რომლის მიხედვითაც დამზადდა 35 მეტრი სიგრძის წინაღობის გადასალახი სახიდე გადასასვლელი. ხიდის კონსტრუქციამ წარმატებით გაიარა ტესტირება საქართველოს შეიარაღებული ძალების სასწავლო წვრთნებში. ის აგრეთვე გამოყენებული იქნა მდინარე მტკვარზე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქარელის რაიონში ლტოლვილთა დასახლების მშენებლობის პროცესში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოების ციკლი შესრულდა ევროპული კოსმოსური სააგენტოს შეკვეთით და დაფინანსებით მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად, რამაც მოგვცა ახალი იმპულსი და ბიძგი, შეგვექმნა უახლესი თაობის მაღალი სიზუსტის და სიხისტის მქონე გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორები. შეიქმნა ოთხი კოსმოსური, ტრანსფორმირებადი, ზემსუბუქი, მაღალი სიზუსტის, 6 მეტრის დიამეტრის, რეფლექტორული ანტენები. მათზე გაცემულია ევროპული და ამერიკული პატენტები. ასევე უცხოელ და ქართველ პარტნიორებთან ერთად საქართველოში დავაფუძნე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — **„მოწინავე მსუბუქი კონსტრუქციები და რეფლექტორული ანტენები“**. ასევე საქართველოში დავნერგე ვენახის სეტყვის დამცავი სისტემა, რომელზეც მიღებულია საქართველოს პატენტი.

— თქვენს კარიერულ წინსვლაში რა იყო ძირითადი ხელისშემწყობი ფაქტორები?

— ყველაზე მთავარი ამ ფაქტორებიდან არის გამოჩენილი მეცნიერებისა და პედაგოგებისაგან შედგენილი გუნდი, ვისთან ერთადაც მე მიწევს მუშაობა; მეგობრული ატმოსფერო, რომელიც სუფევს ინსტიტუტში; საქმისადმი სიყვარული და პასუხისმგებლობის გრძნობა; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა და მრავალი სხვა ფაქტორი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. განსაკუთრებით კი მინდა აღვნიშნო ინსტიტუტის დამაარსებლის, ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილის როლი ჩემს, როგორც მეცნიერის, ორგანიზატორის და პიროვნების ჩამოყალიბებაში. დიდია ჩვენი კოლექტივის თითოეული წევრის დამსახურება ჩემი და ინსტიტუტის წარმატებაში, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო მათ.

ბატონო ნოდარ, დასასრულ, უნდა გისურვოთ წარმატებები. იმედი მაქვს თქვენს გუნდთან ერთად კიდევ ბევრ საყურადღებო პროექტებს ჩაუყრით საფუძველს და მრავალ წარმატებას მოუტანთ ინსტიტუტს.

ᲐᲡᲐᲬᲧᲝᲑ-ᲓᲐᲡᲐᲨᲚᲔᲚᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ ᲛᲓ. ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲖᲔ

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ

რუსეთი საქართველოს საზღვართან ორი კურორტის მშენებლობას აპირებს

რუსეთის **მთავრობის ვიცე-პრემიერმა ოლგა გოლოდეცმა ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ რუსეთი აპირებს საქართველოს საზღვართან ორი კურორტის მშენებლობას, სადაც საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებს შესთავაზებენ მრავალფეროვან მომსახურებას ყველაზე პრეტენზიული ტურისტების მოთხოვნილებების გათვალისწინებითაც კი.**

ნებისმიერი ქვეყნის სუვერენული უფლებაა, საკუთარ ტერიტორიაზე რაც უნდა ის განავითაროს და ააშენოს – სამთო-სათხილამურო კურორტი იქნება, ტანკების ქარხანა თუ ლას-ვეგასი. „ისემც უქნიათ“, ახალი კურშევილი ან სენტ-მორიცის ტიპის საკურორტო ცენტრები აეშენებინოთ თავიანთი მოქალაქეებისა თუ სტუმართა მისაღებად.

თუმცა ვიცე-პრემიერის ამ განცხადებას უაღრესად საგულისხმო გარემოება ედო საფუძვლად. – კურორტების აშენების მიზეზად მან არა თავის მოქალაქეებზე ზრუნვა, არამედ... რუსი ტურისტების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე თანხების ხარჯების შეზღუდვის აუცილებლობა დაასახელა. მისი სიტყვებით, **„საქართველოს ყოველწლიურად მილიონი რუსი ტურისტი სტუმრობს, ეს ძალიან დიდი ფულია – ისინი ხომ უბრალოდ საზღვარს არ კვეთენ, ისინი იქ სრიალებენ, ჭამენ, ცხოვრობენ და ა.შ.“**

რუსი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის განცხადების მიღმა უნდა დავინახოთ, თუ რას განიცდის ამ ქვეყნის ხელისუფლება საქართველოში რუსეთის მოქალაქეების სტუმრობის გამო – იმას, რომ რუსეთის ძალიან ბევრი მოქალაქე საქართველოში საკუთარი თვალით ხედავს სტუმართა მიმართ ქართველთა კეთილგანწყობას, ქვეყნის აღმშენებლობას, მომსახურების მაღალ კულტურას... ამიტომ სლოგანის: **„რუსმა ტურისტებმა თანხები საქართველოში კი არა, საკუთარ სამშობლოში, რუსეთში უნდა დახარჯონ!“, მიღმა აშკარად იკვეთება ამ ქვეყნის ხელისუფლების სურვილი, არა მარტო ხელი შეუშალონ რუსეთის მოქალაქეების „დიდი ფულის ხარჯვას“ საქართველოში, არამედ მათ მიერ საკუთარ ქვეყანაზე არასახარბიელო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.**

დიახაც, პატივცემული პრემიერის ნათქვამი უფრო საქართველოს მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების (რბილად რომ ვთქვათ) გამოხატულება იყო, ვიდრე იმპორტდამოკიდებულების შემცირების სახელმწიფო სტრატეგიის დეკლარირება. ის, რომ ხსენებული სტრატეგიის ნაწილი ყოფილიყო, რუსეთი, პირველ რიგში, საკუთარი ტურისტული ინფრასტრუქტურის იმ სეგმენტის განვითარებაზე იზრუნებდა, რომელშიც ყველაზე დიდი ჩავარდნა აქვს და რომლის გამოისობით მისი მრავალი მილიონი მოქალაქე საზღვარგარეთ ამჯობინებს დასვენებას და თანხების „უშურველ ხარჯვას“.

აი, თუნდაც საქართველოს მეზობელი თურქეთი ავიღოთ. – თუ კარგად დავთვლით, საქართველოში რუსი ტურისტების მიერ დახარჯული თანხა, რომელიც „ყელზე დაადგა“ და მოსვენება დაუკარგა რუს მაღალჩინოსანს, ახლოსაც ვერ მივა მათ მიერ რუსეთთან ამჟამად გეოპოლიტიკურ „თაფლობის თვესა“ თუ „ანგარებიან ქორწინებაში“ მყოფ თურქეთში „დატოვებულ“ სახსრებთან. - ამაზე რუსი ტურისტების საქართველოსა და თურქეთში ხარჯების სტატისტიკა თვალსაჩინოდ მეტყველებს.

რუსეთიდან თუ საქართველოში ერთი მილიონი ტურისტი ჩამოდის, თურქეთში – არანაკლებ ექვსი მილიონი! საშუალოდ ერთი რუსი ტურისტი თურქეთში ხარჯავს 603 დოლარს, საქართველოში კი – მხოლოდ 343 დოლარს. საქართველოში თურქეთთან შედარებით რუსი ტურისტების ნაკადი 6-ჯერ დაბალია, ხოლო საშუალოდ ერთი ტურისტის მიერ დახარჯული თანხა – დაახლოებით 1.8-ჯერ ნაკლები. გამოდის, რომ რუსი ტურისტები საქართველოში ხარჯავენ თურქეთში ანალოგიური გაწეული ხარჯების მხოლოდ 9.5 პროცენტს. მარტო 2018 წელს რუსმა ტურისტებმა თურქეთში „ჩატოვეს“ სულ ცოტა, 3.6 მლრდ. აშშ დოლარი.

> **რუსეთიდან თუ საქართველოში ერთი მილიონი ტურისტი ჩამოდის, თურქეთში – არანაკლებ ექვსი მილიონი! საშუალოდ ერთი რუსი ტურისტი თურქეთში ხარჯავს 603 დოლარს, საქართველოში კი – მხოლოდ 343 დოლარს. საქართველოში თურქეთთან შედარებით რუსი ტურისტების ნაკადი 6-ჯერ დაბალია, ხოლო საშუალოდ ერთი ტურისტის მიერ დახარჯული თანხა – დაახლოებით 1.8-ჯერ ნაკლები.**

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ გეოგრაფიული სიახლოვის გამო რუსეთის მოქალაქეებს სატრანსპორტო ხარჯები ბათუმში, გუდაურსა თუ ბაკურიანში ჩასასვლელად გაცილებით ნაკლები უჯდებათ, ვიდრე თურქეთის ხმელთაშუა ზღვის კურორტებზე მოსახვედრად.

აქვს ამ სტატისტიკას კიდევ ერთი, პოლიტ-ეკონომიკური ასპექტიც. – მიუხედავად ამჟამინდელი „თაფლობის თვისა“, რუსეთი და თურქეთი მაინც ისტორიულად, გინდა გლობალური, გინდაც რეგიონული ასპექტით, სტრატეგიული კონკურენტები არიან. რუსების მიერ თურქეთში დახარჯული ყოველი დოლარი აძლიერებს თურქეთის ეკონომიკას, ზრდის ამ უკანასკნელის გეოპოლიტიკურ ამბიციებს და კონკურენტუნარიანობას, პირველ რიგში, რუსეთთან მიმართებაში.

საქართველო, თურქეთისაგან განსხვავებით, რაც უნდა გაძლიერდეს, ის გეოპოლიტიკურ კონკურენციას რუსეთს არ და ვერ გაუწევს. – საქართველო, თავისი ეკონომიკური სიძლიერით და პოლიტიკური გავლენით, თურქეთისაგან განსხვავებით, სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, სხვა „წონით კატეგორიაშია“, „რუსეთის წონაში“ არ გამოდის.

რა გამოდის?

რუსეთი თურქეთს „ვერ ერევა“ და ამიტომ „მშვიდად“ უყურებს როგორ მუშაობს რუსული ფული თურქეთის ეკონომიკის გაძლიერებაზე, მაგრამ ვერ ეგუება, რომ მის მეზობელ საქართველოში რუსეთის მოქალაქეები თურქეთში მათ მიერ „გასროლილ“ თანხებზე დაახლოებით 12-ჯერ ნაკლებს ტოვებენ.

რუსეთის ხელისუფლებას საკუთარ სახელმწიფოზე ზრუნვის გრძელვადიანი, მათემატიკური ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, პლანიმეტრიულის ნაცვლად სტერეომეტრიული ხედვა რომ ჰქონდეს, თავის ინტერესებს ყველა ასპექტში და ფორმატში დაითვლიდა და საქართველოსათვის რუსი ტურისტების „წართმევაზე“ კი არ იფიქრებდა, არამედ... საქართველოს დაუბრუნებდა აფხაზეთს, რათა ამ რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯზე რუსი ტურისტების თანდათანობითი გადამისამართება მოეხდინა თურქეთიდან საქართველოსთან რეინტეგრირებულ აფხაზეთზე. კითხვაზე: თუ რატომ, რუსეთს რა ხეირი აქედან?! – **ყველაფერი დათვლადია და ამ შემთხვევაში ის თანხა, რასაც რუსი ტურისტები ყოველწლიურად ხარჯავენ თურქეთში, საკმარისი იქნებოდა აფხაზეთში ისეთი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, რომელიც რუსი ტურისტების, სულ ცოტა, 40 პროცენტს მაინც წაართმევდა თურქეთს. დარწმუნებული ვარ, საქართველოს არ გაუჭირდებოდა შესაბამისი სახსრების მობილიზაცია, მათ შორის სპონსორებისა და ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტორების დაინტერესების გზით, ხოლო თავად რუსეთის ხეირს მრავალი ასპექტი ექნებოდა. აი, ზოგიერთი მათგანი:**

ა) რუსეთი აღიდგენდა საქართველოსა და ქართველი ხალხის კეთილგანწყობას და კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას;

ბ) დადებითად იმოქმედებდა საერთაშორისო მასშტაბით რუსეთის შელახული იმიჯის გამოსწორებაზე და სერიოზულ პირობას შექმნიდა დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების თუ საერთოდ გაუქმების არა, მნიშვნელოვნად შემცირებისათვის – ამ ასპექტით ისე უჭირს რუსეთს, რომ კურილიის კუნძულების იაპონიისათვის შესაძლო დათმობაზეც კი ალაპარაკდა, მაშინ როდესაც საქართველოს მისამართით გადადგმული ზემოხსენებული ნაბიჯი მხოლოდ სხვისი ტერიტორიის ხელყოფისაგან ხელის აღებას სთავაზობს;

გ) რუსეთს აფხაზეთის (და, შესაბამისად, ე.წ. „სამხრეთ-ოსეთის“) გეოპოლიტიკური აბორდაჟისათვის აღარ მოუწევდა ყოველწლიურად ისეთი ფინანსური ინექციების გაღება, რომლებიც მის მიერ კოსმოდრომ ბაიკონურის იჯარაში ყაზახეთისათვის გადახდილ თანხას ორჯერ და მეტად აღემატება;

დ) სიტუაციის ასეთი „დალაგება“ თურქეთს გამოაცლიდა მათ კურორტებზე მოსახვედრად რუსეთის მოქალაქეების მიერ დახარჯულ მრავალმილიარდიან ინექციებს, ხოლო თითოეულ რუსეთელ ტურისტს იმავე დონისა და ხარისხის ტურისტული სერვისის მიღება, გეოგრაფიული სიახლოვისა და შედარებით დაბალი ფასების გამო, ერთი-ორად უფრო იაფი დაუჯდებოდა. – ჯერ კიდევ 1990 წელს თურქეთის მთლიანი შიგა პროდუქტი რუსეთის ფედერაციის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 32 პროცენტი იყო. ამ თანაფარდობას მზარდი ტენდენცია აქვს და ამჟამად ის უკვე 56 პროცენტია. ეს დიდწილად სწორედ რუსი ტურისტების თურქეთში გაწეული ხარჯების დამსახურებაა!

იმაზე ხომ საერთოდ არაფერს ვამბობთ, რომ პრობლემის ასეთი სტერეომეტრიულ თუ 3D ფორმატში განხილვისა და გადაწყვეტის შემთხვევაში, ბუნებრივი იქნებოდა საქართველოსთან რეინტეგრირებული აფხაზეთის (და „სამხრეთ ოსეთის“) რეაბილიტაციაში რუსული კაპიტალისათვის განსაკუთრებული პრეფერენციების დაშვება. ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, **საქართველოსადმი დამოკიდებულების შეცვლა რუსულ სახელმწიფოს ხარჯების ნაცვლად ჯერადად მეტ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა.**

სამწუხაროდ, ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელო მხოლოდ პიროვნებებზე საუბრისას აცხადებს, რომ **ადამიანები** ეკონომიკურად მოაზროვნე და რაციონალური არსებანი არიანო, თორემ **სახელმწიფოებზე** ამდაგვარი კატეგორიულ მტკიცებას მის ფურცლებზე ვერსად შეხვდებით – რეალურ ცხოვრებაში ეკონომიკა, როგორც წესი, სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ამბიციების მძევალი და „ტრეფიკინგის“ მსხვერპლია.

რუსეთს, რა თქმა უნდა, შეუძლია, ორი კი არა რამდენიც უნდა, იმდენი კურორტი განავითაროს კავკასიონის ჩრდილოეთის კალთებზე. მაგრამ ეს კალთები ზღვის მიმართ ზურგშექცეულნი არიან, რის გამოც ისინი უპირატესად, ზამთრის სეზონის კურორტებად, სამთო-სათხილამურო პროფილის მქონედ დარჩებიან. ესე იგი, რუსეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური კურსის უცვლელობის პირობებში თურქეთის ხაზინა კვლავ შეივსება საზაფხულო მზისა და ზღვის მოყვარული რუსი ტურისტების მიერ დახარჯული მრავალი მილიარდი დოლარით.

ისე, საინტერესოა, თურქეთთან შედარებით რამდენჯერ ნაკლები უნდა დაეხარჯათ რუს ტურისტებს საქართველოში, რომ ამას რუსეთის ვიცე-პრემიერის უკმაყოფილება აღარ გამოეწვია: 5-ჯერ? 10-ჯერ? თუ, საერთოდ, შესაბამის მომსახურების უფასოდ მიღების შემთხვევაში?!

მაგრამ, აბსოლუტურად უფასო ტურიზმი რომ არ არსებობს?! – 2008 წლის აგვისტოში როკის გვირაბიდან „ტურიზმის ეროვნული სახეობით“ შიდა ქართლში შემოჭრილ რუსულ სატანკო არმადის ავზებში მაინც გადასახადის საკუთარ გადამხდელთა მიერ დაფინანსებული საწვავი ესხათ...

იოსებ არჩვაძე.
599 32 18 98

„ყველაფერი იცოან და ყველაფერი გაეგებათ მხოლოდ სოლოლებსა და თაღლითებს“

ასე ამბობდა ანტონ ჩეხოვი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

VOTRE À. ჩეხოვზე

მასალისა და ნიჭის სიუხვის გარდა, საჭიროა კიდევ ბევრად უფრო არანაკლებ მნიშვნელოვანი ზოგი რამ. საჭიროა მოწიფულობა – ეს ერთი; მეორეც, საჭიროა პირადი თავისუფლების გრძნობა, ეს გრძნობა კი ჩემში მხოლოდ ახლახან გაღვივდა. ადრე ის არა მქონია; იმას წარმატებით ცვლიდნენ ჩემი ფუქსავატობა, დაუდევრობა და საქმისადმი უპატივცემულობა.

* * *

ჩემი ფიქრით, თუ კიდევ 40 წელიწადი სიცოცხლე მიწერია და მთელი ამ ხნის მანძილზე უნდა ვიკითხო, ვიკითხო, ვიკითხო და ნიჭიერად, ანუ მოკლედ წერა ვისწავლო, მაშინ 40 წელიწადში სუყოველ თქვენგანს ისეთი დიდი ზარბაზნიდან გაგისროდით, რომ ცანი შეირყეოდნენ.

* * *

ჩემი რჩევაა: პიესაში შეეცადე, რომ ორიგინალური იყვე და შეძლებისდაგვარად გონიერიც, ოღონდ არ შეგეშინდეს, ემანდ სულელი არ გამოვჩნდეო; საჭიროა ლაღაზროვნება და მხოლოდ ის არის ლაღაზროვანი, ვისაც სისულელეების წერა არ აშინებს. არ დავარცხნო, ნუ შეკაზმავ, იყავი უხეში და კადნიერი. სიმოკლე ნიჭის ღვიძლი დაიაა.

* * *

მოთხრობა საერთოდ იმით არის კარგი, მთელი დღე შეგიძლია რომ კალამმომარჯვებული იჯდე და ვერ შეამჩნიო, როგორ გადის დრო და იმავე დროს რაღაც ცხოვრებისდამაგვარ რასმე გრძნობდე.

* * *

წერად დაჯდომა მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როცა თავს ყინულსავით ცივსა გრძნობ.

* * *

არცვის არ ეგების თავისი თხზულების წაკითხვა დაბეჭდვამდე. არცროდის არ ეგების ვისიმე რჩევის მოსმენა. შეცდი, იცრუე – და შეცდომაც მარტოოდენ შენ გეკუთვნოდეს. მუშაობაში გაბედული უნდა იყვე. არიან დიდი ძაღლები, ნაგაზები და პატარა ძაღლებიც, ფინიები, მაგრამ პატარებს არ უნდა ანცვიფრებდეს დიდების არსებობა: სუყველას ვალდებულებაა ყეფა – და იმ ხმით ყეფა, როგორიც უფლისგან ჰბოძებიათ.

* * *

იცით რა – მასწავლებელ ქალზე დაწერე, ის ათეისტია – დარვინს აღმერთებს, დარწმუნებულია ხალხის ბრმამორწმუნეობისა თუ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ აუცილებელ ბრძოლაში, თვითონ კი, ღამის თორმეტ საათზე აბანოში შავ კატას ხარშავს, რათა ის რკალისებრი ძვალი ამოაცალოს, რომელიც მამაკაცს იზიდავს და სიყვარულს აღაგზნებს – არის ასეთი ძვალი.

* * *

მწერლად გახდომა ძალიან ძნელი არ არის. თავისი სწორი ჩალხანა რომ ვერ იპოვოს, შეუძლებელია ისეთი ალხანის მოძიება. ასევე არცრა ჩმახია, რომელიც ვერ მონახავს თავის შესაფერის მკითხველს.

* * *

ნაწარმოებში უნდა იყვეს კანთიელი, გარკვეული აზრი. უნდა იცოდეთ, რისი გულისთვის წერთ, სხვაგვარად, თუ ამ თვალწარმტაც გზას გაურკვეველი მიზნით გაჰყვებით, გზა აგებნევათ და თქვენივე ნიჭი დაგღუპავთ.

* * *

პარგიც არის, გრძნობის ამშლელიც, ოღონდ გაუგებარია.

* * *

ადამიანებს მიაგე ადამიანები და არა, შენი საკუთარი თავი.

* * *

ჩემი აზრით, მოთხრობას რომ დაწერ, საჭიროა, თავი და ბოლო წაუშალო. აქ ჩვენ, ბელეტრისტნი, ყველაზე მეტად ვცრუობთ... და მოკლედ, რაც შეიძლება მოკლედ უნდა ვწეროთ.

* * *

თუჯი შეგიძლია, რომ არ წერო, ნუ წერ.

* * *

ვინც არცრის მოწადინეა, არცრის იმედი არა აქვს და არცრისა არ ეშინია, იმას არ შეუძლია, რომ შემოქმედი იყვეს.

* * *

სუყოველ დროებაში ენის სიმდიდრე და ორატორული ხელოვნება გვერდიგვერდ ვლინდნენ.

* * *

ვინც შემოქმედების სიტკბოება გამოსცადა, იმისთვის სუყოველი სხვა სიტკბოება არ არსებობს.

* * *

მოერიდე ენის სინატიფეს. ენა უბრალო და ლაზათიანი უნდა იყვეს.

* * *

სუყოველნი დიდნი რუსნი მელექსენი მშვენივრად არ-თმევდნენ თავს პროზას.

* * *

გუზეგი ჰაერს წმენდენ, პიესები კი – ზნე-ჩვეულებებს.

* * *

ფანტაზიას თავის ნებაზე რომ უშვებ, ხელი შეაშველე.

* * *

ადამიანი მაშინ გახდება უკეთესი, როცა უჩვენებთ, როგორიც არის.

* * *

საჭიროა იმას ვესწრაფოდეთ, რომ სუყოველმა იცოდეს და ხედავდეს ბევრად მეტს, ვიდრე იცოდა და ხედავდა იმისი მამა-პაპა.

* * *

მწერალმა ბევრი უნდა წეროს, მაგრამ არ უნდა იჩქაროს.

* * *

მწერალთ, რომელთაც მარადიულთ ან უბრალოდ კარგთ ვეძახით და რომელნიც თავგრუსა გვხვევენ, ერთი საერთო და ფრიად მნიშვნელოვანი ნიშანი აქვთ: ისინი სადღაც მიდიან და თქვენც იქით გიხმობენ და თქვენ არა გონებით, არამედ მთელი თქვენი არსებით გრძნობთ, რომ იმათ აქვთ რაღაც მიზანი, როგორც რომ ჰამლეტის მამის აჩრდილს, რომელიც ტყუილუბრალოდ არ მოდიოდა და უფორიაქებდა წარმოსახვას.

* * *

უნიჯო ის კი არ არის, ვისაც კარგა მოზრდილი მოთხრობების დაწერა არ ძალუძს, არამედ ის არის, ვინც წერს ამ გრძელ მოთხრობებს და დამალვა არ შეუძლია.

* * *

თუ პირველ აქტში კედელზე თოფი ჰკიდია, ბოლო აქტში უნდა გავარდეს.

* * *

უკეთუ ოპტიმისტად გახდომა და ცხოვრების გაგება გწადს, მაშინ შეეშვი, არ ერწმუნო იმას, რასაც ამბობენ და წერენ, სამაგიეროდ, შენ თავად დაჰკვლიე და ჩასწვდი.

* * *

არის ადამიანთა განსაკუთრებული მოდგმა, რომელი ადამიანებიც საგანგებოდ ამასხარავებენ ცხოვრების სუყოველ მოვლენას.

* * *

ადამიანები, ვითომც არაფერიაო, ჩაის სვამენ, იმათ სულებში კი ტრაგედია ხდება.

* * *



ანტონ ჩეხოვი ლევ ტოლსტოისთან ერთად (1901 წ)

ხელოვნება ფრთებს გვასხამს და შორს, ძალიან შორს, ცხრა მთას იქით მიგვაფრენს.

* * *

შეიძლება ვიცრუოთ სიყვარულში, პოლიტიკაში, მედიცინაში, ადამიანის მოტყუებას რა უნდა... მაგრამ ხელოვნებაში მოტყუება არ შეიძლება.

* * *

წერის ხელოვნება შემცირების ხელოვნებაა.

* * *

მხატვრული ნაწარმოები აუცილებლად რამე დიდ აზრს უნდა გამოხატავდეს. მხოლოდ ის არის მშვენიერი, რაც სერიოზულია, საგულოა.

* * *

მე ხშირად მსაყვედურობენ – თვით ტოლსტოიც კი მსაყვედურობდა, რომ წვრილმანებზე ვწერ, რომ არა მყვანან სანიმუშო გმირნი: რევოლუციონერნი, ალექსანდრე მაკედონელნი ანდა თუნდაც, როგორც ლესკოვს, უბრალოდ პატიოსანი სამაზრო პოლიციის უფროსნი. მერედა, სად ვნახო ისინი? ძალიანაც მოხარული ვიქნებოდი! ცხოვრება ჩვენი პროვინციალურია, ქალაქნი მოუკირწყლავია, სოფელნი გასაწყლებულია, ხალხი აბრანძულ-აძონძილია. სიჯეილეში სანეხვეზე ვუივუივებთ, ორმოცს მიღწეულნი უკვე ბებერნი ვართ და სიკვდილზე ვიწყებთ ფიქრს. აბა, ჩვენ რა გმირნი გვეთქმის?

* * *

კრიტიკოსნი ბუზანკალთ ჰგვანან, რომელნიც აფერხებენ ცხენთ მიწის ხვნაში. ცხენს ვით კონტრაბასის სიმნი, ისე დასჭიმნია კუნთნი და მუშაობს, ზედდატანებაზე საიდანღაც მოფრენილი ბუზანკალი გავაზე აჯდება, ნესტრავს და გზუის. ცხენი ტყავის თახთახით და კუდის ქნევით ცდილობს ბუზანკალის მოგდებინებას. ის კი გზუილს განაგრძობს. რაზე გზუის ნეტავი?

საეჭვოა, რომ ესმოდეს, რა აგზუებს. უბრალოდ ხასიათი აქვს ესეგვარი და თავისი არსებობის გამართლება უნდა – ვითომ მეცა მაქვს ამ დედამიწაზე ცხოვრების უფლებაო!

* * *

არიან ადამიანიშვილნი, რომელთაც საბავშვო მწერლობაც კი რყვნის. ისინი განსაკუთრებული სიამოვნებით კითხულობენ სოლომონის ფსალმუნებსა და იგავ-არაკებში ცნობისმოყვარეობის აღმძვრელ, მიმზიდველ ადგილთ, აკი არიან ისეთებიც, რაც უფრო მეტს ეცნობიან ცხოვრებისეულ ჭუჭყს, მით უფრო სუფთანი ხდებიან. პუბლიცისტნი, იურისტნი და ექიმნი, ადამიანური ცოდვის სუყოველ საიდუმლოს ზიარებულნი, ცნობილნი არ არიან უზნეოთა მომხრეობისა გამო და ბოლოს და ბოლოს არცრა ლიტერატურას არ ძალუძს თავისი ცინიზმით ნამდვილი ცხოვრების ჯობნა; ერთი თხლაშოთი ვეღარ გალეშავთ მთვრალს, ვისაც უკვე მთელი ერთი კასრი აქვს დალეული.

* * *

ლიტერატორი არც კონდიტერია, არც კოსმეტიკოსი და არც ხიბალაკი-გამრთობი; ის ვალდებული ადამიანია, თავისი მოვალეობისა და სინდისის შეგნებასთან შეთანხმებული.

* * *

შემოქმედი თავისი პერსონაჟებისა და იმის მსაჯული კი არ უნდა იყვეს, რაზეც ისინი უბნობენ, მიუკერძოებელი, მიუდგომელი მოწმეობა მართებს... ჩემი საქმე მხოლოდ ის არის, რომ ვიყვე ნიჭიერი, ანუ შემეძლოს მნიშვნელოვანი ჩვენებების არამნიშვნელოვნისგან გარჩევა, შემეძლოს ფიგურათა განათება და იმათი ენით ლაპარაკი.

* * *

ლიტერატორნი თავიანთი საუკუნის ძენი არიან, ამიტომაც, როგორც სუყოველი სხვა საზოგადოება, ისინიც საერთო ცხოვრების გარე პირობებს უნდა ემორჩილებოდნენ. ამდაგვარად, უთუოდ წესიერნი უნდა იყვნენ.

* * *

მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ შემდეგი პირობების შესრულების შემდეგ გამოგვივა:

1. არავითარი პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკურ თვისებათა ხანგრძლივვენური სიტყვათამოფრქვევა;
2. სრული მიუკერძოებლობა;
3. უაღრესი სიმოკლე;
4. მოქმედ პირთა და საგანთა ალალ-მართალი აღწერა.
5. გაბედულება და ორიგინალობა; გაექეცი შაბლონს;
6. გულითადობა.

* * *

ღმერთმა დაგვიფაროს საერთო ადგილთაგან. ყოვლის უფრო უკეთესია გმირთა სულიერი მდგომარეობის აღწერა; უნდა ვეცადოთ, რომ ეს გასაგები იყვეს გმირთა მოქმედებათაგან... არ არის საჭირო მოქმედ პირთა სიუხვის გამოდევნება. სიმძიმის ცენტრი უნდა იყვნენ ორნი: კაცი და ქალი.

* * *

თვით ადამიანურ ბედნიერებაშიც კი რაღაც არის ნაღვლიანი.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №263-265

ახალი წელი საოკუპაციო გამყოფ ხაზთან

ატოცელებს განსხვავებული ახალი წელი ჰქონდათ. სოფელში სტუმრიანობა იყო. პოლიციელები, სამოქალაქო აქტივისტები და ატოცის რამდენიმე მცხოვრები ღამის 12 საათზე საოკუპაციო ზოლზე გავიდნენ და ახალ წელს იქ შეხვდნენ.

საოკუპაციო ძალების პატრული ამ დროს იქ არ გამოჩენილა. „საქართველოს დეოკუპაცია და მშვიდობა“, — ეს იყო ის სადღეგრძელო, რაც რუსეთის მესაზღვრეების მიერ ჩარჭობილ ბოძებთან იქ მისულმა ადამიანებმა შესვეს. მათ თქვეს, რომ სამოქალაქო პატრულირებას 2019-შიც გააგრძელებენ და ბრძოლა სრულ დეოკუპაციამდე გაგრძელდება. საოკუპაციო ხაზთან ცოტა ხანს გაჩერდნენ, შემდეგ სოფელში დაბრუნდნენ და ატოცელებს მიულოცეს ახალი წელი. ატოცელები კი ახალ წელს, პრობლემების მიუხედავად, იმედიანად შეხვდნენ. ატოცის მცხოვრები ლაიანა ქოჩიშვილი ამბობს, რომ სოფელმა სახნავ-სათესი ფართობები, საძოვრები და ტყის მასივი დაკარგა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ატოცელმა თამაზ ვაჭრიძემ პირველ რიგში მშვიდობა ადღეგრძელა. მისი თქმით, სოფელი ერთ მუშტად არის შეკრული და სირთულეებს უმკლავდებიან. მიუხედავად იმისა, რომ მიწა დაკარგეს, სასმელ-საჭმელი არ აკლიათ და მომავალს იმედით შეჰყურებენ. ზემო ხვითში ახალ წელს მოკრძალებულად შეხვდნენ. ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფელში ჯერ ისევ ახსოვთ 10 წლის წინანდელი მოვლენები. რუსუდან ბულაშვილი ამბობს, რომ ომგამოვლილი სოფლების მცხოვრებლებმა ყველაზე უკეთ იციან მშვიდობის ფასი.

ცხინვალიდან ფეიერვერკთან ერთად ავტომატიდანაც ისროდნენ. ერგნეთელები ამ ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავდნენ. დარეჯან კასრაძის აზრით, ოკუპირებულ ქალაქში როგორც გამარჯვებულები ისე ზეიმობენ, ერგნეთს კი ბევრი რამ აკლია და ახალი წლის მიუხედავად მაინც სოციალურ პრობლემებზე საუბრობს.

გიორგი კასრაძის ოჯახში პირველ სადღეგრძელოდ საქართველოს გამთლიანებისა ითქვა, შემდეგ სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპული მებრძოლების შესანდობარი შესვეს. გიორგი ამბობს, რომ მომავლის იმედს ერგნეთში არ კარგავენ და ადრე თუ გვიან ცხინვალში ისევ ერთად იზეიმებენ ქართველები და ოსები.

ახალ წელს საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მცხოვრებლები ტრადიციული პრობლემებით შეხვდნენ. მცოცავი ოკუპაცია, ბორდერიზაციის ახალი ტალღა. დაკარგული სახნავ-სათესი ფართობები, საძოვრები და ტყის მასივები, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების მოწესრიგება ჯერ ისევ რჩება საქართველოს ხელისუფლების მთავარ გამოწვევად.

გოგა აფციაური

2019 ემიგრაციაში: „ვცდილობთ, ქართული ტრადიციის მიხედვით შევხვდეთ, მაგრამ არ იგრძნობა აქ ახალი წელი“

ბევრი ქართველი ემიგრანტი ახალ 2019 წელს იტალიაში შეხვდა. როგორც ქართველმა ემიგრანტებმა „აქცენტთან“ საუბრისას განაცხადეს, ცდილობენ, ახალი წელი ქართული ტრადიციების მიხედვით აღნიშნონ. ირკვევა, რომ გოზინაყი საახალწლო სუფრის განუყრელი ატრიბუტია და ბედობას მეკვლეც ჰყავთ. რაც შეეხება სურვილებს, მთავარი სურვილი, რომლის ასრულებასაც თოვლის პაპას სთხოვენ, სამშობლოში დაბრუნებაა.

როგორც ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტი ზ. ლ. გვიყვება, უკვე 12 წელია, ოჯახთან ერთად იტალიაში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის 6 წევრიდან თითქმის ყველა სხვადასხვა ქალაქში მუშაობს, ახალ წელს ყველა ერთად ხვდება. ბედობას მეკვლეც ჰყავთ.

„ქირით ვცხოვრობთ. ყველანი ვმუშაობთ, მე და ჩემი მეუღლე მაქსიმალურად ვცდილობთ, ქართულ ტრადიციებს არ ვუღალატოთ. მეკვლე გვყავდა ბარბაროობასაც და დღესაც. ქართველები არიან. სუფრაზე აუცილებლად გვაქვს საცივი, ხაჭაპური და გოზინაყი, მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, არ იგრძნობა აქ ახალი წელი... იმედი მაქვს, რომ მალე დავბრუნდები ჩემს საქართველოში“, — გვიყვება იგი.

საქართველოში წლობით უნახავი ახლობლებისა და ნათესავების ნახვაზე ოცნებობს ნ. ჩ., რომელიც უკვე 8 წელია, იტალიაში ცხოვრობს. „ვცდილობ, ტრადიციულად შევხვდე დამდეგს. აქ იტალიელი ოჯახების უმეტესობა რესტორნებში მიდის, რაც შეეხება ქართველ ემიგრანტებს, ჩვენ (რა თქმა უნდა, უმეტესობას) გვიწევს იმ ოჯახში აღნიშვნა, სადაც ვმუშაობთ. მაგალითად, მე ისეთ ოჯახში ვმუშაობ, რომ არ ვარ შეზღუდული ქართული ტრადიციის მიხედვით შევხვდე ახალ წელს და რა კერძიც მინდა ის გავაკეთო, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ მყოფ ბევრ ქართველს ამის საშუალება არ აქვს...

რაც შეეხება სურვილებს, ჩემს სახლში დაბრუნება და ჩემი ოჯახის გვერდით ყოფნაა“, — აცხადებს „აქცენტთან“ საუბრისას ნ. ჩ.

ცხინვალის ოკუპირებული რაიონიდან დევნილი ლ.კ. იტალიაში ოჯახთან ერთად ცხოვრობს, თუმცა, როგორც გვიყვება, სამსახურის გამო შვილებთან ახალი წლის აღნიშვნას ყოველთვის ვერ ახერხებს. **„მე ცხინვალიდან დევნილი ვარ. 11 წელია, უკვე იტალიაში ჩემს ოჯახთან — შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ვცხოვრობ. გული მტკივა, რომ სამსახურის გამო ზოგჯერ ვერ ვახერხებ ჩემებთან ყოფნას. მოხუცს, რომელსაც ვუვლი, ვერ ვტოვებ მარტო სახლში. საახალწლო სუფრისთვის ყოველთვის ვამზადებთ გოზინაყს, ხაჭაპურს, საცივს... მაგრამ რაღაც სულ მაკლია... აი, ის ქართულად რასაც ქვია: სუფრა, სიტკბო, სითბო და სიყვარული და მთავარი — ჩემი ქვეყანა მაკლია“,** — აცხადებს ლ.კ.

ჩვენმა რესპონდენტებმა ახალი წელი ყველას მიულოცეს და თოვლის პაპას ქართველი ემიგრანტების სურვილების ასრულება კიდევ ერთხელ სთხოვეს. ქართველი ემიგრანტების საახალწლო სურვილების ამსახველი ბარათები რომში და ნეაპოლში დადგმულ ნაძვის ხეებზეც არის განთავსებული.

საააგენტო „აქცენტი“

ირლანდიაში თავშესაფარს სულ უფრო მეტი ქართველი ითხოვს

„საქართველოდან სულ უფრო მეტ მოქალაქეს სურს ირლანდიაში თავშესაფრის მიღება, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყნიდან. მსურველთა რაოდენობა განსაკუთრებით ბოლო ორ წელიწადში გაიზარდა“ — ამის შესახებ წერს კორონ ლალი ირლანდიურ გამოცემა „The Irish Times“-ში .

ჯერ კიდევ 2016 წელს საქართველო ბოლო ადგილზე იყო იმ ქვეყნების ხუთეულში, რომელშიც მასთან ერთად სირია, პაკისტანი, ალბანეთი, ზიმბაბვე და ნიგერია შედიოდა, მაგრამ უკვე 2017 წლისათვის საქართველომ ჩამოთვლილი ქვეყნების რიგში წინა პოზიციებზე გადაინაცვლა — პირველი ადგილი ისევ სირიას უკავია (თავშესაფრის 545 მაძიებელით), საქართველომ კი ბოლო მეხუთე ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა (302 მაძიებლით).

2018 წელს ქართველ მთხოვნელთა რაოდენობამ კიდევ უფრო მოიმატა: გასული წლის მხოლოდ 11 თვის მონაცემებით, 409 ქართველის თხოვნაა დაფიქსირებული, რაც ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეზე მეტია.

საერთოდ, საქართველოდან ყველაზე მეტი მიგრანტი ტრადიციულად რუსეთში მიდიოდა, მაგრამ, როცა მოსკოვმა 2000 წელს სავიზო რეჟიმი დააწესა, ქართველებმა მიგრაციის გეოგრაფია გააფართოეს და მზერა სხვა სახელმწიფოებსაც მიაპყრეს — უპირველესად კი ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, მართალია, მიგრანტთა რაოდენობის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ქვეყნის შიგნით არსებულმა ეთნიკურმა კონფლიქტებმა და საქართველო-რუსეთს შორის მომხდარმა ომმა, მაგრამ, ამის მიუხედავად, უფრო მეტი ქართველი უცხოეთში სხვა მიზეზებით არის წასული. „ქართველებს საზღვარგარეთ წასვლაზე უფრო მეტად უბიძგებს ქვეყანაში არსებული ცხოვრების არასახარბიელო ხარისხი, სიღარიბე და ეკონომიკური შემოსავლების მკვეთრი დისპროპორცია, აგრეთვე განათლების მიღებისა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის სურვილი, ვიდრე პოლიტიკური არასტაბილურობა და უსაფრთხოების დაბალი დონე“, — აღნიშნულია გამოკვლევაში. გარდა ამისა, ბოლო წლებში (საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში) მომხდარი ცვლილებების წყალობით, ქართველებისათვის უფრო იოლი გახდა ევროკავშირის ქვეყნებში გამგზავრება. როგორც ჩანს, სწორედ ამ ცვლილებებმა გამოიწვია თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის სწრაფი ზრდა.

ირლანდიის იუსტიციის სამინისტროს ცნობით, 2017 წლის მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზოდ გადაადგილების უფლება აქვთ. შენგენის ზონში 26 ევროპული ქვეყანა შედის, რომლებმაც, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სასაზღვრო კონტროლი გააუქმეს. რაც შეეხება ირლანდიას და დიდ ბრიტანეთს, მათ თავიანთი უფლებით ისარგებლეს და უარი თქვეს შენგენის ზონაში გაერთიანებაზე. თუმცა, როგორც სამინისტრო აღნიშნავს, ამ გარემოების მიუხედავად, ქართველ მიგრანტთა ნაკადი და თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობა მაინც იზრდება.

„საქართველოს მოქალაქეებს, ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე შესასვლელად ვიზა აუცილებლად უნდა ჰქონდეთ“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. — **ზრდის ტენდენციას განაპირობებს შენგენის ზონიდან სხვა ქვეყნებში წასვლის ფაქტები, როცა მგზავრები ირლანდიის ტერიტორიას, აეროპორტების სახით, სატრანზიტოდ იყენებენ. სწორედ ირლანდიის აეროპორტებში ჩამოსვლის დროს, იმის ნაცვლად, რომ მათ ფრენა გააგრძელონ, ისინი ქვეყანაში რჩებიან და საერთაშორისო დაცვის მოტივით, ირლანდიაში თავშესაფარს ითხოვენ.**

2017 წლის 16 ივლისიდან ირლანდიის მთავრობამ საქართველო იმ ქვეყნების სიაში შეიტანა, რომლის მოქალაქეებს ირლანდიაში ტრანზიტისათვის შესაბამისი ვიზა უნდა ჰქონდეთ, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ზომამ ქართველებს ირლანდიაში ჩასვლა-დარჩენაზე და თავშესაფრის ძიებაზე უარი ვერ ათქმევინა.

„The Irish Times“ (ირლანდია)

წმინდა ნიკოლოზი, სანტა კლაუსი და შობის მამა

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘ ჩვენი წელთ აღრიცხვით მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა. განსაკუთრებული თაყვანისცემა წმიდა ნიკოლაუსისა გერმანიაში — VI საუკუნიდან, რომში კი VIII საუკუნიდან დამკვიდრდა. არსებობს გარკვეული ლეგენდები წმინდა ნიკოლაუსთან მიმართებით და ვეცდებით, მოგითხროთ მათ შესახებ.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, წმინდა ნიკოლაუსი მდიდარი იყო, როდესაც მისი მშობლები გარდაიცვალნენ მას დიდი ქონება დარჩა. იგი ასევე ძალიან კეთილი ადამიანი გახლდათ და ყოველთვის ეხმარებოდა გაჭირვებულებსა თუ ღარიბებს, ასევე ჩუქნიდა მათ საიდუმლო საჩუქრებს.

როგორც ცნობილია, წმინდა ნიკოლოზი, განსაკუთრებული ქველმოქმედებითა და მოწყალებით გამოირჩევა. მისი ცხოვრება სასწაულებითაა აღსავსე. ყველასთვის ცნობილია, მაგალითად, თუ როგორ გადაარჩინა წმინდა ნიკოლოზმა ქალაქი მირონლუკია შიმშილისაგან; როგორ დააცხრო ქარიშხალი ლოცვით და პალესტინაში მიმავალი გემი გარდაუვალი დაღუპვისგან იხსნა; თუ როგორ გადაარჩინა წმინდა ნიკოლოზმა სიკვდილით დასჯას სამი მხედართმთავარი, რომლებსაც ბოროტმოქმედებმა ცილი დასწამეს. დაბოლოს, სა-

რა იმალება იდუმალი ლეგენდის უკან?

ყოველთაოდ ცნობილია ერთი ეპიზოდი წმინდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან: იმხანად წმინდა ნიკოლოზი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა. მან შეიტყო, რომ ერთ გაღატაკებულ კაცს, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა მათი გამზითვება და დაქორწინება არ შეეძლო, — განუზრახავს მათი საროსკიპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება. ქალწულები ცრემლით ევედრებოდნენ უფალს გამოხსნას ამ საშინელი ხვედრისაგან. ყოვლადმოწყალე ღმერთმა მათ დასახმარებლად მღვდელი ნიკოლოზი გააგზავნა. სამგზის მივიდა მის სახლთან წმინდა ნიკოლოზი და ყოველ მისვლაზე კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა. ასე შეძლო მამამ თავისი სამივე ქალიშვილის გამზითვება. ამგვარად იხსნა წმინდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისაგან.

სწორედ ამ ეპიზოდმა წმინდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში. ასე, თანდათანობით, იქცა იგი დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის შობა-ახალი წლის სიმბოლოდ — სანტა კლაუსად. შობა ღამეს, წმინდა ნიკოლოზის სასწაულის მოლოდინში, საჩუქრების დასატოვებლად საგანგებოდ წინდებს გამოფენდნენ ხოლმე. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შობა ღამეს წინდებსა და ფეხსაცმელს ბუხართან ტოვებენ, რადგან სწამთ, რომ საკვამურიდან სახლში სანტა კლაუსი ან მისი თანაშემწე შემოაღწევს და წინდებსა და ფეხსაცმელში საჩუქრებს ჩააწყობს.

ბავშვების საშობაოდ დასაჩუქრების ტრადიცია გერმანიაში X საუკუნიდან იწყება. იმხანად სამონასტრო სკოლებში წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს „საეპისკოპოსო“ თამაშებს ატარებდნენ: ერთ-ერთი მოსწავლე მღვდელმთავრად იმოსებოდა და თავის თანატოლებს საჩუქრებს ურიგებდა. XVI-XVII საუკუნეებში ეს ტრადიცია გერმანიაში საბოლოოდ დამკვიდრდა. ახლა უკვე „წმინდა ნიკოლოზი“ არა მარტო დადის სახლებში ზურგზე მოკიდებული საჩუქრებით სავსე ტომრით, არამედ იგი აუცილებლად ამოწმებს, იციან თუ არა ბავშვებმა კატეხიზმო და დაზეპირებული აქვთ თუ არა ლოცვები და მხოლოდ ამ „გამოცდის“ შემდეგ ასაჩუქრებს მათ. წმინდა ნიკოლოზობის დღესასწაულისათვის ბავშვები გულმოდგინედ ლოცულობენ. საღამოს კი კართან ფეხსაცმელებს ტოვებენ და მათში დილით საჩუქრებს მოელიან.

თუმცა დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით, პროტესტანტულ რეგიონებში, წმინდა ნიკოლოზის რელიგიური არსი თანდათანობით უკანა პლანზე გადავიდა; სანტა კლაუსის პერსონაჟმა სახეცვლილება განიცადა — დღეს იგი უკვე მოიაზრება, როგორც ჯადოქარი სინრე-კლაასი ან სანტა კლაუსი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს პერსონაჟი თოვლის პაპად, ნოელემად ან ვაინახსმანად ყოველთვის როდი აღიქმება.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან სანტა კლაუსი საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრდა, როგორც კომპანია „კოკა-კოლას“ სარეკლამო სახე. მას შემდეგ სანტა კლაუსის პერსონაჟი საბოლოოდ აღიქმება ცნობილ თოვლის პაპად. დამკვიდრდა ასევე „სანტას“ ტრადიციული ფორმაც: წითელი თეთრბეწვმოყოლებული ხიფთანი, შარვალი და ქუდი. თუმცა წინა საუკუნეებში „საშობაო პაპა“ სრულიად სხვაგვარად იყო შემოსილი და ჩიბუხსაც კი აბოლებდა. სწორედ ასეთი პერსონაჟი ფიგურირებს კლემენტ მეორეს ლექსში „საშობაო პაპის სტუმრობა“.

აქტიური პროცესები იანვარში

ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲗᲕᲔᲡ ᲒᲔᲝᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ 4-7, 11-14, 20-24 ᲓᲐ 28 ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲪᲘᲙᲚᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲠᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲡᲝᲪᲘᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲘᲡᲛᲝᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ.

4 - მთვარისა და მერკურის შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში

მოუფრთხილდით ფილტვებსა და ბრონქებს, შესაძლოა კუნთების, მუხლებებსა და თეძოების სახსრების ტკივილები. მოერიდეთ სახსრების გაციებასა და საერთო გადაღლას, ფეხების დიდი დროით დატვირთვას, სტრესებს, გაუფრთხილდით ღვიძლს. კარგი დროა სამოგზაუროდ, ეცადეთ, არ ინერვიულოთ, მეტი დრო გაატაროთ ჰაერზე.

5 - მთვარის სატურნთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში

სავარაუდოა სახსრების სნეულებათა — რევმატიზმის, ართრიტის, ართროზისა და ხერხემლის ოსთეოქონდროზის გამძაფრება. არ არის გამორიცხული ნაღვლის ბუშტისა და ნაღვლის სადენი გზების მუშაობის დარღვევა. ამ დღეს რეკომენდებული არ არის სამომავლო გეგმების დალაგება და სარისკო საქმეთა წამოწყება. აუცილებელია გაცივების მორიდება, საჭიროა ხერხემალსა და სახსრებზე დატვირთვის შემცირება, სარგებლის მომტანია გამაჯანსაღებელი ფიზიკულტურა.

6 - ახალმთვარეობა, მზის დაბნელება, მთვარისა და პლუტონის შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში

ახალმთვარეობას ფსიქიკური და ფიზიკური ძალები შესუსტებულია, რთულია გონების მოკრება, რაც შრომისუნარიანობაზე აისახება. მძაფრდება ქრონიკული დაავადებები, იცვლება არტერიული წნევა, ძლიერდება გულისა და თავის ტკივილები, იზრდება დეპრესიულობის დონე. რეკომენდებულია დღის მშვიდ გარემოში, სტრესებისა და დიდი ფიზიკური დატვირთვების გარეშე გატარება.

11 - მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზების თანავარსკვლავედში

შეიძლება შეგაწუხონ ფეხების კუნთებისა და სისხლძარღვების ტკივილებმა, შეშუპებამ, ტერფების დაავადებებმა. გამორიცხული არ არის ფსიქიკურ სნეულებათა გამძაფრება, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება. სასურველია აღმგზნები საშუალებების — სპირტიანი სასმელების, ყავისა და შოკოლადის მიღებაზე უარის თქმა. ნუ გადაღლით თვალებსა და ფეხებს, საჭიროა სიფხიზლისა და ყურადღების კონცენტრაციის შენარჩუნება ტრანსპორტით მგზავრობისას, საგზაო გადასასვლელებსა და ხალხმრავალ ადგილებში.

13 - მთვარის მარსთან შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში

შესაძლოა თავის ტკივილების, ყელისა და ფილტვების ანთების, კუნთებისა და კბილების დაავადებათა წარმოშობა. გამორიცხული არ არის თავის ტრავმების მიღება და სისხლჩაქცევები. სასურველია უარის თქმა ალკოჰოლის, აღმგზნები საშუალებების, ყავისა და შოკოლადის მიღებაზე, ძილისა და დასვენების რეჟიმის დაცვა. სასარგებლოა ზომიერი ფიზიკური დატვირთვები და სეირნობა.

14 - მთვარის პირველი მეოთხედი, მთვარის ურანთან შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში

დიდია თავის ტკივილების, სახის ნერვების ანთებ-

ბის, ძილის დარღვევების წარმოშობა. მოერიდეთ ძლიერ ემოციურ განცდებს, რომელთაც ინსულტის ან ინფარქტის გამოწვევა შეუძლიათ, ასევე ფიზიკურ და გონებრივ გადატვირთვას, უარი თქვით აღმგზნები საშუალებების, ალკოჰოლისა და ყავის მიღებაზე, თამბაქოს მოწევაზე, დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი. სარგებლის მომტანია ფიზიკური დატვირთვები და სეირნობა.

21 - მთვარის აღმავალი კვანძი, მთვარის დაბნელება, სავსემთვარეობა, მთვარის პერიგეი

მოსალოდნელია არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლილება, უძილობა, გულისა და თავის ტკივილები, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს გული, სისხლძარღვთა სისტემა და ხერხემალი. ნუ ასწევთ სიმძიმეებს, უარი თქვით სპირტიანი სასმელების მოხმარებასა და თამბაქოს მოწევაზე, ნუ ჩაებმებით კონფლიქტებში. მთვარის დაბნელების დღის გატარება საჭიროა მშვიდ ვითარებაში, სტრესებისა და დიდი დატვირთვების გარეშე. ეცადეთ, მეტი დაისვენოთ და ისეირნოთ.

28 - მთვარის ბოლო მეოთხედი მორიელის თანავარსკვლავედში

სავარაუდოა ადვილად დაღლილობა, სისუსტე. იმუნიტეტის დაქვეითება, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, ასევე ადვილი აღგზნებადობა, გამღიზიანებლობა. ეცადეთ, გააკონტროლოთ ემოციები, ნუ მიირთმევთ ცხარე და ცხიმიან საჭმელს. ამ დღეს ეცადეთ, არ დაგეგმოთ არაფერი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო.

31 - მთვარის შეერთება იუპიტერთან და ვენერასთან მშვილდოსნის თანავარსკვლავედში

სახსრებში შესაძლოა ანთებითი პროცესების, საჭმლის მონელების სისტემის, ფილტვების, ბრონქების დაავადებათა წარმოშობა, საჯდომის ნერვის ანთება. აუცილებელია, მოერიდოთ გაცივებას, გადაღლას, ჭარბ დაძაბულობას. სასურველია უარის თქმა ცხიმიანი საკვების მიღებაზე.

◎ სეზონის სტარტზე

ბასილაშვილი მეოთხედფინალშია!

26 წლის ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ყატარის დედაქალაქ დოჰაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 1 313 215 დოლარი) მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მსოფლიოს პირველ ჩოგან – სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩთან შერკინება ელის.

შეგახსენებთ, რომ მე-5 ნომრად განთესილმა ბასილაშვილმა QATAR EXXONMOBIL OPEN-ის პირველ რაუნდში ესპანელ ალბერტ რამოს-ვინოლასს 6:1, 1:6, 6:1 სძლია, გუშინ კი რუსი ანდრეი რუბლიოვის დამარცხებაც მოახერხა – 6:3, 6:4.

თამაში საათსა და ორ წუთს გაგრძელდა და ქართველ ჩოგბურთელს 8 ეისი და 8 ორმაგი შეცდომა ჰქონდა. მან 4-ვე ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, თავად კი მოწოდება 2-ჯერ წააგო. ნიკამ პირველ მოწოდებაზე ბურთების 86% (31 36-დან) მოიგო, მეორეზე – 33% (8 24-დან). საერთო ჯამში ჩვენებურმა სათავისოდ 63 გათამაშება დაასრულა, ხოლო რუსმა – 48.

ამ წარმატების წყალობით ნიკოლოზმა 45 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა, რეალურად კი 25 აიმატა, რადგანაც 20 ქულა შარშანდელი ტურნირიდან ჰქონდა დასაცავი. ATP-ს ლაივ-კლასიფიკაციაში ქართველ ჩოგბურთელს 1820 ქულა მოუგროვდა და ის მე-20 ადგილზე იმყოფება, რაც ჩვენებურის კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია.

როგორც აღვნიშნეთ, მომდევნო ეტაპზე ბასილაშვილის მეტოქე პლანეტის უძლიერესი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი იქნება, რომელიც, ცხადია, დოჰაშიც პირველ ნომრადაა განთესილი. სერბმა ყატარში ასევე 2 გამარჯვება იზეიმა: 6:1, 6:2 – დამირ ძუმჰურთან (ბოსნია-ჰერცეგოვინა) და 4:6, 6:4, 6:1 – მარტონ ფუჩოვიჩთან (უნგრეთი).

ბასილაშვილისა და ჯოკოვიჩის შეხვედრის გამარჯვებულს 90 სარეიტინგო ქულა ერგება. ვთქვათ ისიც, რომ ნიკასა და ნოვაკს შორის უმჯობესი ნახევარფინალში შვეიცარიელ სტენ ვავრინკასა და ესპანელ რობერტო ბაუტისტა აგუტის მატჩში მოგებულზე გადის.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

11 ქულაც, ზედიზედ მე-7 გამარჯვებაც

ქართველ კალათბურთელ სანდრო მამუკელაშვილსა და მის „სეთონ ჰოლს“ წარმატებული პერიოდი უდგათ. ჩვენებურის გუნდმა აშშ-ს კოლეჯების ლიგაში მე-2 საკონფერენციო მატჩი მოიგო, არასაკონფერენციო შეხვედრების გათვალისწინებით კი „სეთონ ჰოლს“ მიჯრით შვიდი, ხოლო უკანასკნელ თერთმეტ თამაშში 10 გამარჯვება აქვს.

გუშინ დილით ჩვენი ლეგიონერის კლუბი „ქსავიერს“ გაეჯიბრა და დამაჯერებლად ჩატარებული მე-2 ტაიმის (42:28) წყალობით 80:70 სძლია. მამუკელაშვილი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 24 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში), 2 პასი და 2 დაფარება მიითვალა.

სანდრომ 7-დან 4 ორქულიანი და 3-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, ბურთი 3-ჯერ დაკარგა და 1 პერსონალური ფოლი მიიღო. ქართველი ფორვარდი შედეგიანობის მხრივ მხოლოდ მაილს პაუელს ჩამორჩა, რომელსაც 25 ქულა ჰქონდა.

როგორც აღვნიშნეთ, „სეთონ ჰოლს“ 2 საკონფერენციო მოგება აქვს და ბიგ ისთის დივიზიონის სათავეში იმყოფება, მომდევნო მატჩს კი 6 იანვარს „დეპოლთან“ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ნისლი რომ გაიფანტოს

ახალი ფორმატით

როგორც გულშემატკივარს მოეხსენება, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ირგვლივ არსებული აზრთა სხვადასხვაობა, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, სამწუხაროდ, დღემდე არ არის აღმოფხვრილი.

ძიუდოს ფედერაციის გადაწყვეტილებით, სიტუაციის დასარეგულირებლად შემუშავდა სპეციალური ფორმატი, რომელსაც ყრილობის დელეგატთა გარდა დაესწრება ყველა ვეტერანი ძიუდოისტი, ვისაც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ასევე ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული აქვს ნებისმიერი სინჯის მედალი, აგრეთვე ყველა დამსახურებული მწვრთნელი.

რაც შეეხება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის წევრებს, თითოეული მათგანი მიწვეული იქნება დამკვირვებლის სტატუსით.

აღნიშნულ სხდომაზე მსჯელობა შეეხება ყველა სადავო საკითხს, თითოეულ წევრს მიეცემა საშუალება გამოხატოს საკუთარი პოზიცია და მონაწილეობა მიიღოს საკითხის გადაწყვეტაში.

სხდომა წარიმართება კომისიის ფორმატში და საჭიროების შემთხვევაში მსჯელობისას გაიცემა. რეკომენდაციები, რომელიც წარედგინება ფედერაციის შესაბამის ორგანოებს. სხდომის ჩატარების სავარაუდო ვადად განისაზღვრა 2019 წლის 12 იანვარი.

ბეჟან დოლიძე

◎ ვარსკვლავი

რონალდუ: „2018 წელი ჩემს კარიერაში საუკეთესო იყო“

ტურინის „იუვენტუსის“ თავდამსხმელი კრიშტიანუ რონალდუ მიიჩნევს, რომ 2018 წელი მის კარიერაში საუკეთესო იყო. პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ასევე გაიცხადა, რომ იტალიაში ბედნიერია და სურს, რომ ფეხბურთი რაც შეიძლება დიდხანს ითამაშოს.

„2018 წელი ჩემს კარიერაში საუკეთესო იყო. სერია A არაა ისეთი, როგორიც ლა ლიგა, მაგრამ აქ თავდამსხმელს ნაკლები სივრცე და თავისუფლება აქვს, რადგან ყველა გუნდი დაცვაში საოცრად კარგადაა ორგანიზებული. ჩემპიონთა ლიგის მოგება ჩვენი ოცნებაა, მაგრამ ეს თვითმიზანში არ უნდა გადაიზარდოს.

ტურინში ყველა ფანტასტიკურად დამხვდა და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. არ ვიცი, როდის დასრულდება ჩემი კარიერა, მაგრამ ახლა კარგად ვარ და მინდა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვითამაშო“, – ციტირებს რონალდუს სიტყვებს Football Italia.

შეგახსენებთ, რომ რონალდუ „იუვენტუსს“ 2018 წლის ზაფხულში შეუერთდა. „ბებერი სინიორას“ რიგებში 33 წლის თავდამსხმელმა დღემდე 24 მატჩი ჩაატარა, 15 ბურთი გაიტანა და 7 საგოლე გადაცემა მიითვალა.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ახალი წელი არ ჰყვარებია

ძალიან გვინდოდა მოგვეთხრო იმის შესახებ, თუ როგორ ხვდება ახალ წელს ჩვენს მკითხველთა წინაშე თავისი დიდებული მკერდით მრავალგზის გამოტანტალებული პარაგვაელი მოდელი და იქაური საფეხბურთი ნაკრების თილისმა ლარისა რიკელმე, მაგრამ ეს წუთისოფელი ხანგრძლივ გაახარებს ვისმეს განა?...

როგორც აღმოჩნდა, ლარისას ახალი წელი ძალიან არ უყვარს და ამ დღეს, როგორც წესი, არ აღნიშნავს. როდესაც რამდენიმე წლის წინათ ჟურნალისტები რიკელმაანთ ქალს ჩაეკითხნენ, თუ რატომ სძულდა ეს დღე, ლარისამ რაღაცა ჩაიბურტყუნა და ბოლოს განაცხადა, რომ თავს ვალდებულად არ თვლიდა ყველა თავისი გრძნობა გზა-შარაზე გამოედო.

არადა, თქვენც კარგად გახსოვთ, რომ ეს ის ლარისაა, რომელსაც თავისი სხეულის სხვადასხვა ნაწილი არათუ გზა-შარაზე, მთელი მსოფლიოს წინაშეც არაერთხელ გამოუდია და ამ საქმეში სრულყოფილადაა გაწაფული.

როსტომ რაჭველიშვილი

თამაზ აგლაძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტროქიმიური ინჟინერინგის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მწვანე და მდგრადი ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ფუნქციონალური დანაფარების და ნანონაწილაკების ელექტროქიმიური ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემების რედაქტორი და რედკოლეგიის წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის, ბრიტანეთის სამეფო ქიმიური საზოგადოებისა და ევროპის ზედაპირული ტექნოლოგიების აკადემიის წევრი, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამაზ აგლაძე**.

თამაზ აგლაძე დაიბადა 1940 წლის 12 აგვისტოს ცნობილ ქართულ ოჯახში. ბაბუა ილია აგლაძე იყო ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი, ხოლო მამა — აკადემიკოსი რაფიელ აგლაძე ქართული ელექტროქიმიური სკოლის ფუძემდებელი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თამაზ აგლაძე 1964-1985 წლებში მუშაობდა მოსკოვის ლ.კარპოვის სახელობის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტში, ხოლო 1980-1985 წლებში დ. მენდელეევის სახელობის ქიმიური ტექნოლოგიების ინსტიტუტში. 1985 წლიდან იგი სამუშაოდ გადმოდის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და იკავებს ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობას. 1996-1998 წლებში იგი იყო საქართველოს მრეწველობის მინისტრი, ხოლო 1995-2006 წლებში — კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი.

თამაზ აგლაძის სამეცნიერო სფეროს წარმოადგენდა თეორიული და გამოყენებითი ელექტროქიმია, ნანოელექტროქიმია და ნანოკატალიზი, გარემოსდაცვითი ელექტროქიმია, კოროზია და კოროზიისგან დაცვა. იგი არის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 30-ზე მეტი გამოგონების ავტორი, 15-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი.

თამაზ აგლაძის სამეცნიერო მოღვაწეობამ მას საერთაშორისო აღიარება მოუპოვა, ამის ნათელი გამოხატულებაა მისი ნაშრომების მაღალი ციტირების ინდექსი. იგი იყო მრავალი საერთაშორისო კონგრესისა და სიმპოზიუმის, მათ შორის, გორდონის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და მონაწილე. იგი მიწვეული იყო ლექციების წასაკითხად კემბრიჯის, ნიუკასლის, ნოტინჰემის, სტენფორდის, ბერკლის, ჯონ-ჰოპკინსის, მინესოტას, ჰოკაიდოსა და სხვა ცნობილ უნივერსიტეტებში. ამავე დროს იგი იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კომპანიის კონსულტანტი.

თამაზ აგლაძის სამეცნიერო მოღვაწეობა ნაყოფიერი იყო როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი თვალსაზრისით. მან თანაავტორებთან ერთად რუსთავის ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის ქარხანაში გადაჭრა უმნიშვნელოვანესი პრობლემა და წარმოებაში დანერგა ახალი ტიპის ტიტან-მანგანუმის ანოდები. ასევე აღსანიშნავია მისი მონაწილეობა გომელის ხელსაწყოთმშენებელი ქარხნის მიერ იმპულსური პოტენციოსტატური კომპლექსის წარმოების ათვისების საქმეში.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო თამაზ აგლაძის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტებს შორის, მიღებული აქვს განსაკუთრებული ჯილდო ნომინაციაში „მაგისტრანტთა სიმპათია“.

თამაზ აგლაძე იყო სამაგალითო მამა და ბაბუა, თანამშრომლებთან მისი ურთიერთობა გამოირჩეოდა სამართლიანობითა და გულისხმიერებით. მეგობრების წრეში მას ყოველთვის შემოჰქონდა მხიარულება თავისი განუმეორებელი იუმორით.

თამაზ აგლაძის გარდაცვალებით ქართულმა ქიმიურმა მეცნიერებამ განიცადა აუნაზღაურებელი დანაკლისი, ხოლო ოჯახმა, თანამშრომლებმა და მეგობრებმა დაკარგეს არაჩვეულებრივი პიროვნება და ადამიანი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი;
ელექტროქიმიური ინჟინერინგის მიმართულება;
საქართველოს საინჟინრო აკადემია.

თსუ რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ელექტროქიმიური ინჟინერინგის მიმართულების ხელმძღვანელის, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ

თამაზ აგლაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

H1N1 ვირუსი გვიტევს

თბილისში, ინგოროყვას კლინიკაში 29 წლის ბიჭი გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, ლაბორატორიული ანალიზების პასუხები ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა სავარაუდოდ, გარდაცვალების მიზეზი ე.წ. ღორის გრიპი, იგივე H1N1-ია.



პაციენტი ზუგდიდის რეფერალური საავადმყოფოდან ოჯახის მოთხოვნით, გუშინ ღამით ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა უკვე დამძიმებული იყო.

* * *

გორის საავადმყოფოში გრიპის ვირუსის გართულებით 32 წლის ქალი გარდაიცვალა.

სოფელ თორტიზაში მცხოვრები ახალგაზრდა ქალი კლინიკა „გორმედში“ გვიან ღამით, სავარაუდოდ, ე.წ. ღორის გრიპის (H1N1) ვირუსის სიმპტომებით მიიყვანეს.

ექიმების თქმით, პაციენტის მდგომარეობა საკმაოდ რთული იყო და ის დაუყოვნებლივ გადაიყვანეს მართვით სუნთქვაზე, თუმცა, ექიმების მცდელობის მიუხედავად მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. პაციენტი საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

იყო თუ არა გარდაცვალების მიზეზი ე.წ. ღორის გრიპი, ამას ექსპერტიზა დაადგენს. გასული წლის დეკემბერში საქართველოში H1N1 ტიპის ვირუსით ორი ადამიანი გარდაიცვალა.

კირა მიქელაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება მაზლის

ელგუჯა ბერძენიშვილის

გარდაცვალებას.

გამოსვენება 5 I, 15 საათზე. მის. ირ. აბაშიძის 31, I სადარბაზო.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ხელოვანი, თვალსაჩინო მხატვარი და მწერალი

ელგუჯა ბერძენიშვილი

საქართველოს კულტურის ფონდი დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სახალხო მხატვარი და მწერალი, ექვთიმე თაყაიშვილის პრემიის ლაურეატი

ელგუჯა ბერძენიშვილი

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მხატვარი და მწერალი, ექვთიმე თაყაიშვილის პრემიის ლაურეატი

ელგუჯა ბერძენიშვილი

თამაზ შილაკაძე ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ხელოვანი, სახალხო მხატვარი და მწერალი

ელგუჯა ბერძენიშვილი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჩვენი გაზეთის ყოფილ მთავარ რედაქტორს, გამოჩენილ ჟურნალისტს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს არმაზ სანებლიძეს მეუღლის

იზოლდა კობერიძის

გარდაცვალების გამო.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ცნობილ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ასოციაციის მეგობარს, ბატონ არმაზ სანებლიძეს მეუღლის

იზოლდა კობერიძის

გარდაცვალების გამო.

ნაირა, ზურა კეკელიები ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაეღუპათ უახლოესი მეგობარი, უკეთილშობილესი პიროვნება

იზო (ზოია) მარგველაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

სანთელი

მეუღლე რევაზ ჩაგელიშვილი, შვილები ირაკლი, ეკა ჩაგელიშვილები, რძალი თამუნა წივწივაძე, სიძე გიორგი გოცირიძე, შვილიშვილები კოტიკო, ანიტა გაბაშვილები, რეზიკო, გიორგი ჩაგელიშვილები, შვილთაშვილი ელენა გაბაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უსათნოესი მეუღლე, დედა და ბებია

დონარა ვლადიმერის ასული სალაძე-ჩაგელიშვილი

პანაშვიდი 4, 5 I, 17 სთ. დაკრძალვა 6 I, 14 სთ. მისამართი: ზ. ფალიაშვილის ქ. 82, II სად. V სართული.

ლია, თათია სალაძეები, სალომე, საბა დუნდუები დიდი მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი და უძვირფასესი

დონა სალაძე-ჩაგელიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ გოგიაშვილი ძმური გულისტკივილით უსამძიმრებს რევაზ, ირაკლი და ეკა ჩაგელიშვილებს უკეთილშობილესი მეუღლისა და დედის, ცნობილი ვლადიმერ სალაძის ქალიშვილის

დონარა სალაძე-ჩაგელიშვილის

გარდაცვალების გამო.

2018 წელს მსოფლიოში
15 ავიაკატასტროფა მოხდა

2018 წელს მსოფლიოში სამოქალაქო ავიაციაში 15 ავიაკატასტროფა დაფიქსირდა, შედეგად 556 ადამიანი გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას Aviation Safety Network-ი ავრცელებს.

2018 წლის ავიაკატასტროფების TOP-3, რომლის დროსაც ყველაზე მეტი მგზავრი დაიღუპა, ასე გამოიყურება:

1. ავიაკომპანია Lion Air-bc Boeing 737 MAX-ის ავიაკატასტროფა ინდონეზიაში, შედეგად გარდაიცვალა 189 მგზავრი.
2. ავიაკომპანია Cubana de Aviaciцn-ის Boeing 737-ის ავიაკატასტროფა კუბაში, შედეგად გარდაიცვალა 112 მგზავრი.
3. ავიაკომპანია Iran Aseman Airlines-ის ATR-72-ის ავიაკატასტროფა ირანში, შედეგად გარდაიცვალა 66 მგზავრი.

სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, 2018 წელს აღრიცხული ავიაკატასტროფებიდან 12 სამოქალაქო ავიაციის, ხოლო 3 ტვირთების გადაზიდვის სეგმენტში იყო.

ექსპერტები განმარტავენ, რომ მათ მიერ წარმოდგენილ სტატისტიკაში შესული არაა სამხედრო ბორტის ავიაკატასტროფა ალჟირში, რომლის დროსაც ბორტზე მყოფი 257 ადამიანი დაიღუპა.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელთან შედარებით ავიაკატასტროფებისა და მსხვერპლთა რიცხვონება გაზრდილია, 2018 წელი სამოქალაქო ავიაციის ისტორიაში მაინც უსაფრთხო წლად მიიჩნევა. 2018 წლის მაჩვენებლებით, განხორციელებული 37.8 მლნ ფრენიდან კატასტროფა მხოლოდ 15-მა განიცადა, ანუ 2.5 მლნ რეისზე 1 ავიაკატასტროფა მოდის.

ფიქრთ გასართველად

სხვათაგან თქმული

სეზონი „ახალი წლისთვის გავხდები“ დახურულად ცხადდება. სეზონი „გავხდები ზაფხულისთვის“ სტარტს იღებს საახალწლო არდადეგების შემდეგ.

* * *

– ძვირფასო თოვლის პაპა! ძალიან გთხოვ, საახლწლოდ ფულის სქელი დასტისა და ტანწვრილობის ჩუქებას, ოღონდ შარშანდელივით არ აგერიოს.

* * *

თავში რაღაც ტარაკნები მიყუჩდნენ. როგორც ჩანს, საახალწლო სიურპრიზს მიმზადებენ.

* * *

მგელი, ლომი და ღორი შეკამათდნენ, რომლის უფრო ეშინიათ ადამიანებსო.

მგელი ამბობს:

– ჩემი ყმუილი მთელ ტყეს აშეშებსო.

ლომმა თქვა:

– ჩემი გდღვინვისგან ყველანი ქვეშ იფსამენო.

ღორი:

– მე თუ ერთი დავიღრუტუნე, ვაიმე გრიპი მაქვს-მეთქი, მთელი მსოფლიო კანკალს იწყებსო.

* * *

ახალ წელსა და შობას ამერიკელები საჩუქრებს წინდებში ინახავენ, რუსები პირიქით, წინდებს ინახავენ საჩუქრებში.

* * *

1 იანვრის დილაა. ტელეფონი რეკავს:

– ალო.

– შენც ალო, კეთილო კაცო.

თხინვალას დასახლებაში ადგილობრივებმა ხეზე ენოტი იპოვეს

გუშინ დილით თხინვალას დასახლებაში ადგილობრივებმა ენოტი იპოვეს. ცხოველი ხეზე იყო ამძვრალი და მისი ჩამოყვანა დიდხანს ვერ მოხერხდა. ენოტის ხიდან ჩამოსაყვანად მერიის ცხოველთა მონიტორინგის სამსახურმა სამაშველო ოპერაცია ჩაატარა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ 112-ში მეზობლებმა დარეკეს, თუმცა ყველასთვის წარმოუდგენელი იყო ასეთი ფაქტი.

ცხოველი თავს კარგად გრძნობს და მას ცხოველთა მონიტორინგის სამსახური მუხათწყაროს ტყეში გაუშვებს.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6617; ევრო - 3.0354;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3633
100 რუბლი - 3.8939; თურქული ლირა - 0.5020;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5659;
1000 სომხური დრამი - 5.4994.

ამინდი 4 იანვრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +9
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +8
თბილისი: ღამე 0, დღე +9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge